# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 21 იანვარი. 2020 წ. №10 (8936) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი



მხილება

## ირმა ინაშვილი:

# NDI-ს დირექტორი „ნაციონალური მოძრაობისგან“ ფულს იღებს!

„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერის **ირმა ინაშვილის** თქმით, „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ (NDI) საქართველოს ოფისის დირექტორი ლორა თორნტონი კორუფციულ საქმიანობაშია ჩართული და ის „ნაციონალური მოძრაობისგან“ ფულს იღებს.

**„NDI-ს თბილისის ოფისის ხელმძღვანელი, ქალბატონი ლორა თორნტონი, მე ასე ვფიქრობ, რომ ფინანსურად არის დაინტერესებული „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების მხრიდან. ადგილი აქვს კორუფციას კლასიკური გაგებით და ის ფულს იღებს ამ ე.წ. კვლევებში და მონაცემების გავრცელებაში. ვინაიდან მე მაქვს ასეთი ეჭვი, მე მოვითხოვ, რომ ჩემი სახელმწიფოს სტრუქტურებმა დაიწყონ გამოძიება“,** — ამბობს ინაშვილი.

ის კვლევითი ორგანიზაციებს NDI-სა და IRI-ს ტერორიზმსა და ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებშიც ადანაშაულებს.

**„ეს ე.წ. კვლევები პირდაპირ უქმნის საშიშროებას ჩვენს სახელმწიფოს და უკვე იქცა სახელმწიფო უსაფრთხოების პრობლემად. ტერორიზმი, ყველას მოგეხსენებათ, რა მოვლენაც არის. ტერორის ფორმები განსხვავებულია. პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ ის, რასაც აკეთებს NDI-ს და IRI-ს თბილისის ოფისების მენეჯმენტი ადგილობრივ ქართულ კომპანიასთან ერთად, ეს არის ტერორის ერთგვარი ფორმა“,** — აცხადებს ირმა ინაშვილი პრესკონფერენციაზე.

ის ორგანიზაციების საწინააღმდეგო არგუმენტად ამბობს, რომ „პატრიოტთა ალიანსმა“ კვლევა ჩაატარა და 28/517 გამოკითხულიდან ვერ იპოვეს ვერც ერთი ადამიანი, რომელსაც NDI-ს კვლევაში მიუღია მონაწილეობა. ინაშვილი ამერიკის საელჩოსთან აქციებს აანონსებს.

**„26 იანვრიდან დაიწყება NDI-სა და IRI-ს მამხილებელი კამპანია. ეს უბედურება საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს. საერთოდაც, საბოლოო ჯამში, ვითხოვთ, რომ აიკრძალოს ამ ორგანიზაციების საქმიანობა საქართველოში“,** — აცხადებს ირმა ინაშვილი.

# „ყველა - ერთის წინააღმდეგ“!

ყველას გააჩნია!..

5



# გიორგი გახარია დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში მიიღებს მონაწილეობას



**საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია 21-24 იანვარს დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში მიიღებს მონაწილეობას. ამის შესახებ ინფორმაციას მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.**

მთავრობის მეთაურის სამუშაო ვიზიტი შვეიცარიის კონფედერაციაში 21-24 იანვარს შედგება. გაიმართება მაღალი დონის ორმხრივი პოლიტიკური შეხვედრები სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურებთან. საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამუშაო ვიზიტის ეკონომიკური ნაწილი დაეთმობა შეხვედრებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ხელმძღვანელებთან და მსოფლიოს უმსხვილეს კომპანიებთან, მათ შორისაა Philips Lighting, Siemens Energy, Camille Bloch, Coca-cola, Oneweb და სხვა.

**საქართველოს დელეგაციაში, რომელსაც გიორგი გახარია ხელმძღვანელობს, ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში ირაკლი ჩიქოვანი და მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში ბექა ლილუაშვილი იმყოფებიან.**

# SOS! ოპოზიციას ტვინის ჰეპატიტი ჭირს!

## გამანადგურებელი პასუხი მანქურთ ჭიაბერაშვილს, უგულავას, გოცირიკას, ბოკერიას, გვარამიას და სხვებს...

**არაერთხელ გვითქვამს:** ოპოზიციაც არის და ოპოზიციაც. ესენი ჩასაფრებულნი არიან და კიკნა რასმე თოვლის გუნდასავით ზვავად აქცევენ და თავადვე ატეხენ ერთ აურზაურს – არიქა, ქვეყანა იღუპებაო!.. ასე, მაგალითად, C ჰეპატიტის საქმე, რაც თვით სახელმწიფო აუდიტმა გამოამჟღავნა. ოპოზიცია შუმი ნაციონალის, ყოფილი ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ზურაბ ჭიაბერაშვილის თავკაცობით უმალ აფეთქდა: აი, ხედავთ, ოცნებელებმა თითქმის ნახევარი მილიარდის C ჰეპატიტის აბები დაასაწყობეს, ეს მაშინ, როდესაც საქართველოში დღესდღეობით ამ საშინელი სენით დაავადებული ათასობით ადამიანიაო... მთავარია, გულუბრყვილო მსმენელი დარწმუნდეს, ეს რა უბედურებააო!

არადა, ამ უკანასკნელი წლების მანძილზე ამ საშინელი სენისგან განიკურნა თითქმის 60 ათასი ადამიანი. არა, ამ ციფრის არც დანახვა და არც გაგონება არ უნდა ოპოზიციას, რომელსაც მხოლოდ ერთი ესანუკვრება: ოღონდ „ოცნება“ დაიქცეს და ქვეყანაში თუნდაც ქვა ქვაზე ნუ დარჩენილაო...

ხმა ჩაიწყვიტაო, სწორედ მსგავს ამბავზეა ნათქვამი. ქვეყნის დაქცევის მსურველ ოპოზიციას ეს ციფრი – 60 ათასი – ბურთივით ჩასჩარეს პირში.

...ოპოზიციის სავალალოდ და საუბედუროდ, ტვინის C ჰეპატიტის განსაკურნებელი აბები ჯერ არ შეუქმნით!..

იხ. 3 გვ.

# პატარა ერების ხვედრი




6

# სვანეთში ბიტკოინის მაინერების წარმოებას სემეკი მკაცრად გააკონტროლებს!

4

# „ევროპის დამცველი-2020“

**ნატო საქართველოში, ბალტიისპირეთსა და გერმანიაში მასშტაბური სამხედრო წვრთნებისთვის ემზადება**

**ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის უპრეცედენტოდ მასშტაბური სამხედრო სწავლების „ევროპის დამცველი 2020“-ის ფარგლებში ბალტიისპირეთის ქვეყნებში, გერმანიასა და საქართველოში ჯარისკაცების განთავსება იწყება.**

ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები ბაზებზე განთავსებას მიმდინარე კვირაში დაიწყებენ.

ნატოს საბრძოლო მზადყოფნის შემოწმების მიზნით დაგეგმილი სამხედრო წვრთნების დროს, ბოლო 25 წლის განმავლობაში პირველად, ევროპის კონტინენტზე ამერიკელი ჯარისკაცების ყველაზე მასშტაბური გადასროლა მოხდება.

**წვრთნები ევროპაში 20 000 ამერიკელი ჯარისკაცის გაგზავნას ითვალისწინებს. მათ შორისაა საზღვაო ქვეითები, სამხედრო-საჰაერო ძალები, ეროვნული გვარდიის ნაწილები და სარეზერვო დანაყოფები. ყველაზე დიდი კონტინგენტი პოლონეთში განთავსდება. საერთო ჯამში, სამხედრო სწავლებაში 18 ქვეყნის 37 000 სამხედრო მოსამსახურე მიიღებს მონაწილეობას. სამხედროების განთავსებაში 600 ათას სატრანსპორტო საშუალებას და 2 500 აღჭურვილობის კონტეინერს გამოიყენებენ. სამხედრო მოსამსახურეების მთავარი ნაწილების და მძიმე შეიარაღების გაგზავნა თებერვლიდან დაიწყება. გამოცემა „არმი თაიმსი“ წერს, რომ სამხედრო სწავლების ფარგლებში, ამერიკელები საქართველოში მრავალეროვნულ საპარაშუტო ხტომას დააკვირდებიან.**



# აშშ-ში საქართველოს პარლამენტის დელეგაციის ვიზიტი იგეგმება



**საქართველოს პარლამენტი და ხელისუფლება აშშ-ში მაღალი დონის დელეგაციებით იქნება წარმოდგენილი,** — ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ არჩილ თალაკვაძემ განაცხადა.

მისი თქმით, საგაზაფხულო სესიის ფარგლებში აშშ-ში დაგეგმილია საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლების სამუშაო ვიზიტები.

**„ერთ-ერთი პირველი ვიზიტი, რომელიც იგეგმება, იქნება ჩემი ხელმძღვანელობით. გაიმართება მაღალი დონის შეხვედრები როგორც აშშ-ის კონგრესში, ისე სახელმწიფო დეპარტამენტში, არასამთავრობო სექტორთან, ექსპერტებთან და აკადემიურ წრეებთან. ვიზიტის ფარგლებში, რა თქმა უნდა, თანამემამულეებსაც შევხვდებით“,** — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

# არჩილ თალაკვაძე: თუ ოპოზიცია ჩვენს ვერსიას არ დათანხმდება, არჩევნები შერეული სისტემით ჩატარდება

**პარლამენტის თავმჯდომარის არჩილ თალაკვაძის განცხადებით, თუ ოპოზიცია საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით მმართველი გუნდის შეთავაზებულ ვერსიას არ დათანხმდება, მაშინ არჩევნები არსებული სისტემით ჩატარდება, რაც შერეულ პრინციპს გულისხმობს.**

არჩილ თალაკვაძის თქმით, მმართველი გუნდის მიერ შეთავაზებული ვერსია გულისხმობს 100/50-ზე მანდატების გადანაწილებას, სადაც პროპორციული მანდატების რაოდენობა იზრდება, მაჟორიტარულის კი მცირდება. **„შემდეგ რაუნდზე ჩვენ ამ შეთავაზების კონკრეტულ განხილვას ველოდებით. თუ არ დათანხმდებიან ამ შემოთავაზებას და ვერ შევთანხმდებით, მოხდება ის, რომ არჩევნები ჩატარდება არსებული, შერეული სისტემის ფარგლებში“,** — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ. ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის საარჩევნო სისტემის ცვლილებაზე მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი სავარაუდოდ თვის ბოლოს გაიმართება.

# კარლ ჰარცელი: ევროკავშირი არის უდიდესი ინვესტორი და სავაჭრო პარტნიორი საქართველოსთვის



**არ გავაკეთებ კომენტარს ინდივიდუალური პირების წერილებზე, ამას სხვები უკეთ გააკეთებენ,** — განაცხადა საქართველოში ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა ამერიკელი კონგრესმენის მარკუეინ მალინის ღია წერილზე კითხვის საპასუხოდ. ჰარცელის თქმით, რაც შეეხება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, ბიზნესგარემოს, სავაჭრო საკითხებს, ევროკავშირისთვის ეს თემები მნიშვნელოვანია, რადგან ელჩის განცხადებით, ევროკავშირი არის უდიდესი ინვესტორი და უდიდესი სავაჭრო პარტნიორი საქართველოსთვის.

**„ჩვენ ვმუშაობთ ამ საკითხებზე და ვითვალისწინებთ იმ მოსაზრებებს, რომელიც სხვადასხვა ბიზნესპალატებისგან ისმის. ჩემთვის ეს ყველაფერი წარმოადგენს უფრო ფართო და კომპლექსურ ლანდშაფტს, რასაც ვითვალისწინებთ. ზოგიერთი ეხება მმართველობის საკითხებს, ხოლო სხვები ბიზნესშესაძლებლობებს და სამართლიან გარემოს. მაგალითად, საჯარო შესყიდვების თემა, რაზეც ბიზნესწრეებთან ერთად ვმუშაობთ საქართველოში. სხვა საკითხებზეც ვთანამშრომლობთ, რათა დავრწმუნდეთ, რომ მოიხსნას ხარვეზები, რომელიც აფერხებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობას. ერთად უნდა ვიმოქმედოთ, რათა მცირე ბიზნესის სტიმულირება მოხდეს, რომ თავისუფალი და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესაძლებლობებით ყველამ ისარგებლოს. სიტუაცია კომპლექსური და გადამწყვეტია, ევროკავშირის დელეგაცია მას დიდ ყურადღებას უთმობს ახლაც და მომავალშიც დაუთმობს“,** — განაცხადა ჰარცელმა.

# დღგ-ების სკანდალში გახვეული კიდევ ერთი სავარაუდო ფიგურანტი მამუკა ბახტაძეა!!!

**დღგ-ების ქურდობის საქმეში, რომელიც „საუკუნის ძარცვის“ სახელით არის ცნობილი, კიდევ ერთი ყოფილი მაღალჩინოსნის სახელი და გვარი ჩნდება.**

პოლიტიკური მოძრაობა „ტრიბუნას“ დამფუძნებელი დავით ჭიჭინაძე „2020NEWS“-თან აცხადებს, რომ ბიუჯეტის ძარცვის სქემაში ჩართული იყო ექსპრემიერი მამუკა ბახტაძე, რომელსაც დღგ-ების სქემიდან მილიონობით ლარი უკანონოდ აქვს მითვისებული.

**„დღგ-ს ქურდობის საქმეში ყოფილი პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძეც იყო გარეული. ბახტაძე ფინანსთა მინისტრი იყო, შემდეგ პრემიერი გახდა და, შესაბამისად, მის გარეშე ბიუჯეტიდან ფულს ვერავინ, მოიპარავდა. ჩემი ინფორმაციით, ბახტაძეს დღგ-ების ქურდობის სქემიდან მილიონები აქვს მითვისებული. რამდენიმე ათეულობით მილიონზეა საუბარი“,** — განაცხადა ჭიჭინაძემ.

კითხვაზე, არსებობს თუ არა აღნიშნული ბრალდების დამამტკიცებელი საბუთი? ჭიჭინაძე პასუხობს, რომ ამ ინფორმაციას დამტკიცება არ სჭირდება, რადგან ამ საქმეში ბახტაძის ბრალეულობა ისედაც ნათელია.

**„ეტყობა, მაღალჩინოსნებს ბიუჯეტის ღრღნის დაკვეთა აქვთ მიღებული და მთავრობა მღრღნელებით ამიტომ არის გავსებული. დრო მოვა და ყველაფერს ნათელი მოეფინება. ეს დანაშაული მაინც არ დაიმალება“,** — განაცხადა დავით ჭიჭინაძემ.

ინფორმაციისთვის, დღგ-ს საქმეზე ერთ-ერთმა დაკავებულმა პირმა გოჩა ბახიამ ბოლო სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ **„700 მილიონი ლარის მოპარვის სქემის მთავარი ფიგურანტი ექსპროკურორი ოთარ ფარცხალაძეა“.**

მისივე განცხადებით, ასევე, ამ სქემაში ჩართულები იყვნენ და ბიუჯეტის ძარცვისგან ფინანსური სარგებელი ფარცხალაძის ყოფილმა მოადგილემ, ახლა კი უზენაესი სასამართლოს უვადო მოსამართლემ მამუკა ვასაძემ და ფინანსური პოლიციის უფროსმა სოსო რამიშვილმა მიიღეს.

შეგახსენებთ, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა 100 მილიონის დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის გაყალბების საქმეზე გამოძიება 2019 წელს დაიწყო.

# განათლების სამინისტროდან კულტურის სამინისტრო გამოიყოფა

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან კულტურის მიმართულების გამოყოფის საკითხზე მსჯელობა მიმდინარეობს.

**„აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა მიმდინარეობს. საბოლოო გადაწყვეტილებას აუცილებლად შეგატყობინებთ“,** — აცხადებენ მთავრობის ადმინისტრაციაში. საქართველოს პირველი არხის ინფორმაციით, დაახლოებით ერთი კვირის წინათ მმართველ გუნდში კულტურის მინისტრის კანდიდატურაზე იმსჯელეს და ერთ-ერთ კანდიდატად პარლამენტის დიასპორის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ბექა ოდიშარია დასახელდა. ბექა ოდიშარიას გარდა, კულტურის მინისტრის პოსტზე განიხილება განათლების მინისტრის მოადგილის ბადრი მაისურაძის კანდიდატურაც. ბადრი მაისურაძის კანდიდატურის შესახებ ინფორმაცია გასული წლის ნოემბერში საქართველოს პირველ არხს უმრავლესობის წევრმა თემურ ჭკუასელმა დაუდასტურა. ბადრი მაისურაძე განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველ მოადგილედ გასული წლის აგვისტოში დაინიშნა.

# კულტურის მინისტრობისთვის 3 კანდიდატი იბრძოლებს

**განათლების და კულტურის სამინისტროების გაყოფასთან დაკავშირებით მთავრობაში გადაწყვეტილება უკვე მიღებულია.**

კულტურის მინისტრის კანდიდატად გუშინ სამი გვარი დასახელდა. ესენია: **ბადრი მაისურაძე, ელისო ბოლქვაძე და ბექა ოდიშარია.**

შეგახსენებთ, საქართველოში 10 სამინისტრო და ერთი სახელმწიფო მინისტრის აპარატი 2018 წელს ჩამოყალიბდა.

# შოთა ხაბარელი მიიჩნევს, რომ სპორტის მიმართულება განათლების სამინისტროში ცალკე დეპარტამენტად უნდა ჩამოყალიბდეს

**პარლამენტის სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის შოთა ხაბარელის მოსაზრებით, სპორტის მიმართულება განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში უნდა დარჩეს, მაგრამ ცალკე საქვეუწყებო დეპარტამენტად უნდა ჩამოყალიბდეს.**

როგორც საქართველოს პირველ არხს ხაბარელმა განუცხადა, სპორტის მიმართულების თაობაზე განათლების მინისტრ მიხეილ ჩხენკელთან განხილვა იანვრის ბოლომდე გაიმართება. მისი თქმით, სპორტის მიმართულება განათლების სამინისტროში უნდა დარჩეს, რადგან მასობრივი სპორტი პირდაპირ ბმაშია განათლების სისტემასთან.

**„თუ ქვესაუწყებო დეპარტამენტი იქნება, ეს იდეალურია, რადგან ნაკლები ბიუროკრატია იქნება და ბევრი პრობლემა მოიხსნება. განათლების ქოლგის ქვეშ სპორტის მიმართულების არსებობა გამოცდილი მეთოდია და ეს ამართლებდა კიდეც. სპორტის მიმართულება კულტურის სამინისტროში საქვეუწყებო დეპარტამენტი იყო და ასე ბევრი საკითხი მარტივად წყდებოდა“,** — განაცხადა ხაბარელმა.

# „ანას ბაღს“ არანაირი პრობლემა არ ექმნება

**„ანას ბაღს“ არანაირი პრობლემა არ ექმნება, ეს არის თითიდან გამოწოვილი თემა,** — ამის შესახებ ჟურნალისტებს დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ „ანას ბაღთან“ დაკავშირებით განუცხადა. მისი თქმით, მერია მზად არის, ბაღის რეაბილიტაცია განახორციელოს.

**„მე ეს თემა შესწავლილი მაქვს თავიდან ბოლომდე და აბსოლუტურად ვიცი ყველა დეტალი. არანაირი პრობლემა „ანას ბაღს“ არ ექმნება და ჩემი მერობის პირობებში არც ერთ სკვერს, არც ერთ ბაღს არ შეექმნება პრობლემა. ჩვენ დავიწყეთ ამ თემის შესწავლა, ნებართვა გაცემული იყო დავით ნარმანიას დროს. როდესაც შემოვიდა საჩივარი, გავაჩერეთ ნებართვა, დავიწყეთ საკითხის საფუძვლიანად შესწავლა და გაირკვა, რომ ნებართვა კანონიერად იყო გაცემული, გაირკვა ის, რომ თვითონ მწვანე სივრცეს, „ანას ბაღს“ არანაირი საფრთხე და პრობლემა არ ემუქრება და პირიქით, დამატებითი მოცულობა გამოვართვით ჩვენ მიწის ნაკვეთის, რომ მიემატოს „ანას ბაღს“. გარდა ამისა, დედაქალაქის მერია მზად არის, „ანას ბაღის“ რეაბილიტია განახორციელოს და ეს იქნება ერთ-ერთი საუკეთესო მწვანე სივრცე“,** — განაცხადა კალაძემ.



# ერთი შვილ მაინც გაგზარდე ჩანგლებით მეომარია...



**„NDI“-ის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი ლორა ტორნტონი, რატომღაც ძალზედ „კრეატიულად“ უდგება ქართულ ხალხურ პოეზიას, განსაკუთრებით კი ბალადას „ვეფხისა და მოყმის შესახებ“.**

დასტურად, შეიძლება მოვიყვანოთ ამ აღიარებული ორგანიზაციის მონდომება ევრონაც დავით ბაქრაძის „დიდ პოლიტიკოსად“ წარმოჩენის შესახებ.

როგორც ირკვ(ლ)ევა ბატონი დავითის სიყვარული „NDI“-ის საქართველოს წარმომადგენლობას შიგ კაკალ გულში ჯერ კიდევ ბაქრაძის ნაცობისას (თუმცა ნაცსა და ევრონაცს შორის სხვაობას ვერ ვხედავ. ეს ერთი მედლის ორი მხარეა) 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ჩავარდნია.

სახელდობრ იმ დროს, როდესაც ქვეყნის მმართველი ნაცელიტა რუსთმოძალებისას ქვეყნიდან გაქცევას ერთმანეთს ეცილებოდნენ და წითელ ხიდზე ერთმანეთს თხებივით თავზე ახტებოდნენ.

„გმირი“ დავითი მოსახლეობას მიმართავდა:

მყარად აღლოთ ხელში დანა-ჩანგალი და ისე შებრძოლებოდნენ მომხვდურთ.



იმ დღიდან მოყოლებული, „NDI“ – ეს მსოფლიოში სახელგანთქმული და სამწუხაროდ, საქართველოში თავისი ქმედებებით ხალხისგან გულაცრუებული ორგანიზაცია უკვე მერამდენე წელია, ავრცელებს თავის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების მემილიონედ ხარისხში აყვანილ სიცრუეს.

და დროგამოშვებით თვითშემოქმედებით უსაზღვროდ ზრდის ჩანგლებით მეომარი შვილის დავითის თვითრეიტინგს.

ეტყობა, ქალბატონ ტორნტონს თავისი ოფისის ლოზუნგად ჩვენს ქვეყანაში ქართული ოპერის მოდიფიცირებული მელოდია „აგანგალა ჩანგალა, პოლიტიკოსებს ბაქნალა“ აურჩევია.

ასე თუ გააგრძელეს საქართველოში „NDI“-ის ადგილობრივმა დაქირავებულებმა „ღრმად საფუძვლიანი კვლევა“, ახლო მომავალში ალბათ დავით ბაქრაძე მოგვევლინება მსოფლიოს XX-XXI საუკუნეების საუკეთესო პოლიტიკოსად და სარდალ მეომრად.

და ბოლოს...

ფრიად სამწუხაროა, ფრიად სამწუხარო, თუ რატომ აყენებს უხერხულ მდგომარეობაში დემოკრატიისა და თავისუფლების ფლაგმანს, ჩვენს დიდ მეგობარსა და სტრატეგიულ მოკავშირეს ეს მატყუარა ორგანიზაცია.

სწორედ, აი ეს არის საკითხავი ქალბატონო ლორა.

**ედიშერ გვენეტაძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**



## ილია ჩაჩიბაია:
# ასე იწერება „ენდიაის“ რეიტინგები

ჟურნალისტი **ილია ჩაჩიბაია** სოციალურ ქსელში წერს:

**„პირველ ფოტოზე – „ენდიაის“ ქართული ოფისის ხელმძღვანელი ლორა ტორნტონი და „ნაციონალების“ ერთ-ერთი მთავარი სახე გიგა ბოკერია. მეორე ფოტოზე – გიგა ბოკერიას მეუღლე თამარ ჩერგოლეიშვილი და ლორა ტორნტონი...**

**ასე იწერება „ენდიაის“ რეიტინგები: პოლიტიკური გვამები (მაგ. დავით ბაქრაძე) – სათავეში, ეკლესია და პოპულარული პარტიები კი – ბოლოში...“.**



**SOS! ოპოზიციას ტვინის ჰეპატიტი ჭირს!**

# გამანადგურებელი პასუხი მანქურთ ჭიაბერაშვილს, უგულავას, გოცირიკას, ბოკერიას, გვარამიას და სხვებს...

ამერიკული კომპანია „გილეადი“ საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. ფარმაცევტული კომპანია, საქართველოს ვირუსის საწინააღმდეგო პრეპარატებით, 2015 წლიდან, უსასყიდლოდ ამარაგებს. კომპანია განცხადებაში ხაზს უსვამს, რომ საქართველო C ჰეპატიტის ელიმინაციის მიზნით მოწინავე ქვეყანაა.

**„საქართველო C ჰეპატიტის ელიმინაციის მიზნით საერთაშორისო ძალისხმევის ავანგარდში მყოფი ქვეყანაა და კომპანია „გილიადი“ ამაყობს, რომ აღნიშნულ პროგრამას მხარს უჭერს დაწყებიდანვე, 2015 წლიდან. 2019 წლის მონაცემებით, საქართველოს მთავრობამ უკვე წარმატებით უმკურნალა 58 000 ადამიანს, ჩვენი ორგანიზაციის მიერ მიწოდებული მედიკამენტებით“,** – ნათქვამია განცხადებაში.

ფარმაცევტული კომპანია, საქართველოსთვის გადმოცემული მედიკამენტების ვადის ამოწურვის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციასაც ეხმიანება. როგორც განცხადებაშია ნათქვამი, მსგავსი შემთხვევები, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამებში იშვიათი არ არის, რადგან ხდება საჭიროზე მეტი მედიკამენტით უზრუნველყოფა.

**„ჩვენ ვიცით, რომ „გილიადის“ მიერ საქართველოსთვის გადაცემული წამლების მცირე დოზას, რომელიც ჩვენი მხრიდან, ქვეყნისთვის დონაციის გზით გადაცემული მედიკამენტების 5%-ს შეადგენს, ვადა ამოეწურა. ეს არ არის უჩვეულო, რადგან საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები, როგორც წესი, უფრო მეტი მედიკამენტით მარაგდება, ვიდრე საჭიროებს. საქართველოს შემთხვევაში, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი პრეპარატის ვადის ამოწურვის მიზეზი ახალ, უფრო ტოლერანტულ რეჟიმზე გადასვლა გახდა, ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მედიკა-**




**მენტების ვადის გასვლამ რაიმე გავლენა იქონია C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის მიზნების განხორციელებაზე“,** – აღნიშნულია განცხადებაში.

ამერიკული კომპანია იმასაც აღნიშნავს, რომ საქართველოში, C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის მხარდაჭერას აქტიურად აგრძელებს: **„გილიადი“ აქტიურად აგრძელებს პროგრამის მხარდაჭერას საქართველოში. ჩვენ ვმუშაობთ ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად, რათა უზრუნველვყოთ C ჰეპატიტის მქონე საქართველოს მოქალაქეებისთვის უახლესი თაობის C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაგრძელება.**

# კახა კალაძე: ჩემთვის საინტერესოა აშშ-ის ოფიციალური და არა თითო-ოროლა კონგრესმენის მეგობრობით გაკეთებული განცხადება



**ჩემთვის საინტერესოა აშშ-ის ოფიციალური და არა თითო-ოროლა კონგრესმენის მეგობრობით გაკეთებული განცხადება,** – ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ აშშ-ის კონგრესმენის, რესპუბლიკური პარტიის წევრის მარკუეინ მალინის წერილთან დაკავშირებით დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა. კახა კალაძის განცხადებით, პირადად არ გასცნობია ამერიკელი კონგრესმენის წერილს, თუმცა აღნიშნავს, რომ „დაუმსახურებელ კრიტიკას ვერ მიიღებს“.

**„მე არ ვიცნობ წერილის შინაარსს, თუმცა ნამდვილად ვერ მივიღებთ ისეთ კრიტიკას, რომელიც ნამდვილად დაუმსახურებელია. ქვეყანა დემოკრატიული თვალსაზრისით ვითარდება და 2012 წლიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. შედარებებიც კი საკმარისია, თუ რა ხდებოდა 2012 წლამდე გამოხატვის, სიტყვის თავისუფლების, თუნდაც ტელევიზიების მიმართულებით. თუმცა, ჩვენ ამაზე არ ვჩერდებით. ქვეყანა ვითარდება, წინ მიდის. ამაზე მეტყველებს ყველა ჩვენი საერთაშორისო პარტნიორის ოფიციალური განცხადებები. ჩემთვის არ არის საინტერესო მისი განცხადება. ჩემთვის საინტერესოა ოფიციალური ამერიკის განცხადება. ჩვენ რამდენიმე ხნის წინ ვიხილეთ ოფიციალური განცხადება, სადაც მიუთითებდნენ იმ რეფორმებზე, რომელიც ქვეყანაში ხორციელდება და ეს დადებითად იყო შეფასებული. თითო-ოროლა კონგრესმენის მეგობრობით გაკეთებული განცხადება ჩემთვის საინტერესო არ არის“,** – აღნიშნა კალაძემ.

# ნავთობისა და გაზის კორპორაციაში აცხადებენ, რომ კონგრესმენ მალინს არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს

**ქართული მხარის დადანაშაულება არ არის სწორი და სავარაუდოდ ადგილი აქვს კონგრესმენ მალინის არასწორ ინფორმირებას ან არაობიექტური ინფორმაციის მიწოდებას,** – ამის შესახებ საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მრჩეველმა ვაჟა ხიდაშელმა განაცხადა, რომლითაც კომპანია „ფრონტერასთან“ დაკავშირებით აშშ-ის კონგრესის რესპუბლიკელი წევრის მარკუეინ მალინის პოზიციას გამოეხმაურა. მისივე თქმით, „ფრონტერასა“ და ნავთობისა და გაზის კორპორაციას შორის საარბიტრაჟო დავა მიმდინარეობს, რომელიც პროდუქციის წილობრივი განაწილების კომერციულ ხელშეკრულებას ეხება.

**„ჩვენ გვაქვს საფუძვლიანი პრეტენზიები „ფრონტერასთან“, რის გამოც დაიწყო საერთოდ ეს დავა. დავა განიხილება საერთაშორისოდ აღიარებული წესების მიერ. ჩვენ უახლოეს მომავალში ველოდებით საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, პატივს ვცემ მათ და გადაწყვეტილების შესაბამისად მოვიქცევით“,** – განაცხადა ვაჟა ხიდაშელმა. ხიდაშელის განმარტებით, კანონიერების სრული დაცვით მოქმედებენ და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებამდე, თავს იკავებენ ისეთი სახის ჩარევისგან, რომელიც კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობას უკავშირდება.

◉ ჩვენი დღრიალა ოპოზიციის გასაგონად

# მოვიპოვოთ და დავიცვათ თავისუფლება!



**როგორ შებღალეს სიტყვა „თავისუფლება“, ყველა რევოლუციის ლოზუნგად გახადეს! სწორედ თავისუფლების არასწორი გაგების გამო ხდებოდა და ხდება ომები, ინგრევა ღირებულებათა სისტემა, კანონები — უბრალო ფიქციად, დემოკრატიულობა — ანარქიის ტოლფასად.**

ზოგ ჩვენს ოპოზიციონერს თავისუფლება ესმის როგორც განუსაზღვრელი უფლებამოსილება, ხშირად — თვითნებობა. მაგრამ რას ნიშნავს იყო მეუფე, უფალი შენი თავისა? ეს, უპირველეს ყოვლისა, არის ცოდნა საკუთარი თავისა. იგი გულისხმობს თავის შეცნობის კატეგორიულ მოთხოვნას. **„შეიცან თავი შენი!“** — ბრძანებდა სოკრატე. არ შეიძლება, არ დავეთანხმოთ ალბერტ კამიუს იმის შესახებ, რომ **ადამიანის არსი, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს თვითგაცნობიერებაში, ანუ უნდა გავერკვე, თუ ვინა ვარ მე, რა შემიძლია, რა უფლებანი და მოვალეობანი მაქვს, როგორ შევასრულო და დავიცვა ეს უფლებები, როგორც სახელმწიფო მოქალაქემ, მე უნდა ვიზრუნო ჩემი ადგილის სწორად განსაზღვრისათვის საზოგადოებაში.**

თავისუფლება, უპირველესად, ნიშნავს ჩვენი შესაძლებლობების, უფლებების სწორ განსაზღვრას, მათ შეფასებასა და გამოყენებას. ეს კი, თავის მხრივ, გულისხმობს აზროვნების ფენომენის Cogito-ს მოთხოვნის აუცილებლობას (ასევე გულისხმობს ნებელობით ქცევას, როდესაც ხდება გადაწყვეტილების მიღება, დაძლევა წინააღმდეგობათა მთელი ჯაჭვისა). ჩვენს წინაშე დგება არჩევანი: უნდა ავირჩიოთ ცხოვრების ისეთი წესი, რაც მაღალი ღირებულების მატარებელია; თავის მხრივ ძლიერი აზროვნება თავისუფლების შინაარსით არის დამუხტული, თავისუფლება თავად ეფუძნება, ერთი მხრივ, Cogito-ს და, მეორე მხრივ — მორალურ პრინციპს.

თავისუფლება ერთგვარი თვითკონტროლი, თავისებური ცენზორია უფლებამოსილების შესრულებისა და დაცვისა. ამიტომ ბრბო ცნობიერების მატარებელი ვერ იქნება და არც შეიძლება იყოს თავისუფალი. იგი ღირებულებითი ორიენტაციის გარეთ დგას.

თავისუფლება, არავითარ შემთხვევაში, არ უნდა იქნეს გაგებული როგორც უკონტროლო, უპასუხისმგებლო მოქმედება, მიტინგებზე უთავბოლო ღრიალი, მით უფრო — დედის გინება. თავისუფლება არის ის, როდესაც გვაქვს არჩევანი, არჩევის შესაძლებლობა, ვირჩევთ სიკეთეს, ვითავისებთ, ვახორციელებთ მაღალ ღირებულებებს (უნდა ვიცოდეთ ჩვენი შესაძლებლობებით საზღვარი). შეფასების პრინციპში იქმნება ღირებულება.

**თავისუფლება იწყება იქ, როცა ადამიანს უჩნდება უნარი, გადალახოს საკუთარი ცხოველური არსი და შექმნას თავისთვის ახალი „მზე“,** — აღნიშნავდა ჰეგელი.

თავისუფლების არასწორი გაგების გამო იღუპებიან ადამიანები, ინგრევა ღირებულებათა სისტემა, ირყვნება ადამიანთა ცნობიერება, იწყება ნიჰილიზმი, ჭეშმარიტება ადგილს უთმობს ეგზალტაციას, ხდება აღზევება აგრესიული ინფორმაციებისა, ბატონობს დებულება: — „ყველაფერი დასაშვებია“. ნებისმიერ იმპერიათა დაცემის მიზეზი იყო შური, ანგარება, სწრაფვა ძალაუფლებისაკენ, ამბიციურობა, არაპროფესიონალიზმი და, რაც მთავარია, სახელმწიფოებრივი ცნობიერების არარსებობა — ყოველი მოქალაქის მიერ უპირველესი და უმთავრესი მოვალეობის გაუცნობიერებლობა: მორალური პრინციპებით, განათლებულობით აშენონ სახელმწიფო და არა ყალბი ეროვნული ლოზუნგებით, ვიწრო პარტიული და პირადი ინტერესებით ანგრიოს ქვეყანა.

**„კაცობრიობა მაშინ მოიპოვებს ბედნიერებას, თუ ყოველი პიროვნება შეეცდება, თავად იყოს პასუხისმგებელი სხვათა წინაშე“** (ფოლკნერი).

ვამჯობინებთ საკუთარ ნაჭუჭში, ტყუილში ყოფნას, ვერ ვაცნობიერებთ ჩვენი არსებობის ნამდვილ აზრს, მოვალეობას. ველოდებით გარედან მხსნელს, ვაზროვნებთ არა ეთიკური სახელმწიფოებრივი ინტერესებით და სწორედ მაშინ დგება საზოგადოების ბრბოდ, ჯოგად გადაქცევის საშიშროება და უკვე ადვილად მართვადია ავანტიურისტული ხელისუფლების მიერ, რომელიც ვერ ეგუება განათლებულ, ღირსეულ ადამიანებს. განა ამიტომ არ დასაჯეს ქრისტე? განა ამიტომ არ აიძულეს სოკრატე, შეესვა საწამლავი?

სამწუხაროდ, ჩვენში სახელმწიფოებრივი ცნობიერება ადგილს უთმობს ბრბოს ცხოვრებას, ეძებს ბელადს, კერპს. მზად არის კერპისადმი მონური მორჩილებით ჩაიდინოს დანაშაული. ბრბოს ცნობიერების მატარებელი არ შეიძლება იყოს კულტურის სუბიექტი. ბრბოს საოცრად ბრძნულ შეფასებას აძლევს ვაჟა-ფშაველა ლექსში „ქებათა-ქება“:

**ბრბო მაინც არ გათეთრდება**
**რაც უნდა ხეხო ქვიშითა,**
**იმის სიყვარულს მოიხვეჭ**
**მხოლოდ ძალით და შიშითა.**

სახელმწიფოებრივი ცნობიერება, პიროვნების თავისუფლება წარმოადგენს კულტურის განვითარების პირობას და, იმავდროულად, პიროვნების თავისუფლება არის კულტურის მიზანი. ალბერტ შვეიცერი აღნიშნავდა: **„კაცობრიობის პროგრესის მისაღწევად აუცილებელია პიროვნების მორალური სრულყოფა, რომ კულტურა არის ოპტიმისტური მსოფლმხედველობა და ეთიკური ურთიერთქმედების შედეგი. ასე იქმნება ღირებულებათა სივრცე“.**

დავფიქრდეთ, შევქმნათ და დავიცვათ ღირებულებათა სივრცე!

**ლონდა მდივანი**

# ლილეოს სიმაღლე „სვანურ“ ბიტკოინებს ვერ კვებავს!

## სვანეთში ბიტკოინის მაინერების წარმოებას სემეკი მკაცრად გააკონტროლებს!

**მას შემდეგ, რაც სვანეთის მოსახლეობა ელექტროენერგიის გადასახადისგან განთავისუფლდა, „ენერგო პრო ჯორჯიას“ ზარალი ამ მიმართულებით გაიზარდა. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) ინფორმაციით, კომპანიის ზარალმა 2019 წლის 9 თვეში, სვანეთისთვის მიწოდებული და გადაუხდელი ელექტროენერგიის ნაწილში, 7 მლნ ლარი შეადგინა.**

მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე დავით ნარმანიას რამდენიმე კვირის წინ გაკეთებული განცხადებით, ცუდია, რომ მესტიის მოსახლეობა ელექტროენერგიის გადასახადს არ იხდის. საკუთარი განცხადება კი კიდევ ერთხელ დაუდასტურა „კომერსანტს“ და ხაზი გაუსვა, რომ როდესაც ყოველწლიურად მთავრობა 30 მლნ. ლარზე მეტს ხარჯავს, რათა მოწყვლად ჯგუფებს კომუნალურების გადასახადი შეუმსუბუქდეს, ამ ფონზე სვანეთის ელექტროენერგიის გადასახადისგან გათავისუფლება მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

**„მართალია, 90-იანი წლებიდან ასე მოდის და მოსახლეობაც შეჩვეულია ფაქტს,** **მაგრამ მაშინ, როდესაც სიმძლავრემ მოიმატა, მოთხოვნა ბევრად გაზრდილია ელექტროენერგიაზე, ქსელი დაიტვირთა. ამის გამო „ენერგო პრო ჯორჯია“ ვერ ახერხებს მინიმალური რესურსებით ქსელის მომსახურებას. კომერციული ობიექტები იხდიან გადასახადს, ფიზიკური პირები კი ვერ. სწორედ ამის გამო მიმაჩნია საჭიროდ, რომ საკითხს გადავხედოთ“,** — აცხადებს დავით ნარმანია.

მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარემ ისიც განმარტა, რომ მთავრობა სამომხმარებლო ტარიფების სუბსიდირებას არ ახდენს. მისი თქმით, გაზის ნაწილში მთავრობამ და ნავთობის და გაზის კორპორაციამ, საკუთარი რესურსით მოახერხეს, რომ ტარიფი კურსთა შორის დაკავშირებული ცვლილების გამო არ გაზრდილიყო.

მესტიის მოსახლეობის ელექტროენერგიის გადასახადისგან განთავისუფლებასთან ერთად, რეგიონში ბიკტოინის მაინერების წარმოების საკითხი, რომ ისევ დღის წესრიგში დგას ეს დავით ნარმანიამ „კომერსანტთან“ საუბრის დროსაც აღნიშნა. მისი თქმით, საკითხზე მუშაობას აუცილებლად დაიწყებენ და მარეგულირებელი კომისია ამ მიმართულებით იმუშავებს.

**„სვანეთში კრიპტოვალუტის წარმოებამ ქსელი საკმაოდ დაამძიმა. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, რომ კრიპტოვალუტა ჩაეხსნას ქსელს. ამ თემაზე დაუყოვნებლივ იქნება ერთობლივი მუშაობა. ჩვენ როგორც მარეგულირებელი კომისია, აუცილებლად შევიტანთ წვლილს, ჩავერთვებით სამუშაო პროცესში და საკმაოდ მკაცრად გადავხედავთ საკითხს“,** — ამბობს დავით ნარმანია.

შეგახსენებთ, რომ ზემო სვანეთის რეგიონის მცხოვრებლები ელექტროენერგიის ტარიფს არ იხდიან. ქვეყნის სხვა მაღალმთიან დასახლებებში მთავრობა სამომხმარებლო ტარიფის 50%-იან სუბსიდირებას ახდენს, სვანეთში კი მოსახლეობა დენის ტარიფის გადახდისგან გათავისუფლებულია. რეგიონში კი ელექტროენერგიის ქსელის მზარდი დატვირთვის გამო და უფასო ელექტროენერგიის ჭარბად გამოყენებამ ბიტკოინების მაინერების ასამუშავებლად, სვანეთის სოფლები ჩააბნელა. მსურველებს უფასოდ შეუძლიათ ნებისმიერი რაოდენობის ელექტეროენერგია მოიხმარონ, რათა ბიტკოინებით შემოსავალი მიიღონ.



**ნათია ლომიძე**

# ბათუმში აღმოჩენილი 150 ნეშტიდან 22-ს დნმ ვერ აუღეს

**სტალინური რეპრესიების დროს, ბათუმს შემოერთებულ ტერიტორიაზე ნაპოვნი 150 ნეშტს დნმ-ის კვლევა ჩაუტარდა, როგორც ჯანდაცვის სამინისტროში აცხადებენ, აქედან 22 ნიმუში ვერ აიღეს, დანარჩენებისთვის კი შექმნილია დნმ ბანკი.**

აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ინფორმაციით, ჯერჯერობით დაკრძალვა ვერ ხდება, როგორც ამბობენ, საჭიროა დამატებითი გათხრები, რომ შეისწავლონ სხვა ნეშტებიც. ამის შემდეგ დაიწყება მემკვიდრეების დნმ-ს კვლევა, რომელიც ჯერჯერობით უცნობია, დაფინანსდება თუ არა სახელწიფოს მიერ.

სასულიერო პირების განცხადებით, ამ დრომდე ნეშტები საკათედრო ტაძრის სარდაფშია. ელოდებიან გადაწყვეტილებას, რომელიც სამთავრობო კომისიამ უნდა მიიღოს.

ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის ქ. №338-ში მდებარე საბანაკო შეკრების ბაზა №3-ის ტერიტორიაზე, სავარაუდოდ, 1937-1938 წლებში ბოლშევიკური რეპრესიების დროს დახვრეტილი მოქალაქეების ნეშტები აღმოაჩინეს. სამუშაოები ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიამ განახორციელა. ინფორმაცია ცნობილი 5 აპრილს გახდა. ნეშტებს დაკრძალვა 21 აპრილს იგეგმებოდა, თუმცა მოქალაქეების, სხვადასხვა კონფესიების მოთხოვნით, ჯერ მეცნიერულად მოხდება ნეშტების შესწავლა, ინფორმაციის დამუშავება, დნმ ბაზის გაკეთება და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებენ გადაწყვეტილებას დაკრძალვაზე. ეპარქიამ მოქალაქეების პოზიცია გაიზიარა.

# „ყველა – ერთის წინააღმდეგ“!

## ყველას გააჩნია!..



**გაერთიანებული ოპოზიციის ყველაზე დიდი შეცდომაა, რომ ხელისუფლებისთვის ბრძოლაში მან უარი თქვა პროგრამულ მიდგომაზე, არ განაზოგადა საერთო პრობლემა და მთელი თავისი რესურსი და ენერგია მიმართა ერთი პიროვნების წინააღმდეგ. ყოვლად უსუსური და უაზროა იმათი ლოზუნგი – „ყველა ერთის წინააღმდეგ!“, რაც ნამდვილად არ იყო სწორი, რადგან ოპოზიციამ ყოვლად უსაფუძვლოდ, შეგნებულად გვერდი აუარა და ეცადა, არ დაენახა ის, რაც ყველასთვის თვალხილული იყო და ზედაპირზე იდო: ამ ერთი პიროვნების დიდი დამსახურება ქვეყნის წინაშე და იმ თავისუფლების ფასი რომელიც მან ქვეყანას მოუტანა.**

მიუხედავად იმისა, რომ მიუკერძოებლად ბიძინა ივანიშვილი და მისი ხელისუფლება ბევრ რამეში შეიძლება კრიტიკას იმსახურებდეს, ამ პიროვნებას მაინც რჩება ხალხის დიდი მხარდაჭერა და თანადგომა. პირველ რიგში იმიტომ, რომ ქვეყნისთვის პირადად ბევრი სიკეთე გაუკეთებია და აგრეთვე იმიტომ, რომ, ხალხისავე აზრით, რეალურად არაფერი არ გაუფუჭებია, არ ჩაუდენია ისეთი საქციელი, რაც ქართველი ხალხისთვის ზნეობრივად ყოვლად მიუღებელი იქნებოდა და რაც ჩვენ წინა ხელისუფლების ხელმძღვანელობისგან საკმაოდ ვიწვნიეთ, განსაკუთრებით, როცა ქვეყანამ თავისი ისტორიული მიწა-წყლის ოცი პროცენტი დაკარგა. ეს ქვეყნის ტრაგედიის ტოლფასი იყო.

სამწუხაროა, რომ ოპოზიციამ და მისმა ლიდერებმა ბოლომდე ვერ გაიაზრეს, რეალურად ვერ შეაფასეს ქვეყანაში ამჟამად არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა და თავიანთი ჯიბის ტელევიზიებით, რაზედაც მთელ იმედებს ამყარებენ, ბრმად აგრძელებენ ივანიშვილის დაუმსახურებელ, ყოველმხრივ უაზრო კრიტიკას. თუმცა, როგორც დრომ გვაჩვენა, ყოველივე ეს ფუჭი და სრულიად კონტრპროდუქტიული აღმოჩნდა, რამდენადაც არაეთიკური, უზნეო (ცილისწამება, ლანძღვა-გინება) საქციელით ქართული საზოგადოების დიდი ნაწილის გულისწყრომა და პროტესტი დაიმსახურეს.

ასეთი პრიმიტიული, გაუაზრებელი, მოღალატური პოლიტიკის გამო, ოპოზიციამ ხალხის სათანადო მხარდაჭერა ვერ მოიპოვა, მნიშვნელოვნად გაფლანგა თავისი საარჩევნო რესურსი, რაზედაც მეტყველებს მათი მცირერიცხოვანი შეკრებები როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში. თუმცა, ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც ხალხის ჯანმრთელ ნაწილს ჯანმრთელი თვალები და ყურები აქვს და კარგად ხედავს, კარგადაც ესმის, ვინ ვინ არის და ვის რისი გაკეთება შეუძლია ქვეყნისთვის.

საბოლოოდ ოპოზიცია მიხვდა (SIC!), რომ თავისი ვულგარული, არასწორი პოლიტიკით ვერ მიაღწია მიზანს, ვერ მიიღო ხალხის სათანადო მხარდაჭერა და გადავარდა მეორე უკიდურესობაში: გადაწყვიტა მიემართა ბრძოლის ძველი, ყოვლად მიუღებელი ხერხისთვის და, თავისი ლიდერის მახინჯი მითითების თანახმად, დაიწყო უკმაყოფილო ადამიანებისგან, გამოუცდელი ახალგაზრდებისაგან რაღაც **„წითელი ბრიგადების,“** და **„ხუნვეიბინების“** მსგავსი მოიერიშე ჯგუფების შექმნა. ამ ჯგუფებმა დაიწყეს ბოქლომებით სირბილი, სახელმწიფო ინსტიტუტების პიკეტირება, თავდასხმები ქვეყნის პარლამენტზე, რაიონებში თვითმმართველობის ორგანოებზე, თავს ესხმოდნენ და შეურაწყოფას აყენებდნენ ქვეყნის პრეზიდენტს, მთავრობის წევრებს, ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატებს...

**ბოლოს კი, გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერებმა სულ დაკარგეს კონტროლი თავიანთ ქმედებებზე და დაიწყეს სხვადასხვა მიზეზით მიუღებელი ადამიანებისაგან (სახელმწიფო მოხელეები, მოსამართლეები, პოლიცია და სხვ.) „შავი სიების“ შედგენა და ამ ადამიანების უაპელაციოდ დამნაშავებად გამოცხადება, ხოლო შემდგომ რაღაც „საერთაშორისო ორგანიზაციების“ დახმარებით უნდათ განახორციელონ ამ პირების მკაცრად დასჯა.**

**ამ სახის მარაზმი თანამედროვე მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყნებში კი არა, ავტოკრატულ, არადემოკრატიული წყობის ქვეყნებშიც, ალბათ, თავში არავის არ მოუვიდოდა, ხოლო ფაშისტური რეჟიმის ყოფილ იდეოლოგებს ამ „ნოვაციის“ ნამდვილად შეშურდებოდათ.**

**სასაცილოა, რომ ამ ყველა ანტიდემოკრატიულ, ანტისახელმწიფოებრივ ბაკქანალიას, ცნობილი ოპოზიციონერი ლიდერი ცინიკურად ამართლებს დემოკრატიით და გამოხატვის თავისუფლებით, ხოლო თავს წარმოგვიდგენს ევროპული ყაიდის „პოლიტიკოსად“!**

ყველასთვის ცნობილია, როგორი კრახით დამთავრდა გასულ საუკუნეში ამ ტიპის ფსევდორევოლუციური მოძრაობები მთელ რიგ ქვეყნებში, ხოლო ახლა ამაზე სერიოზულ მსჯელობას აზრიც არა აქვს.

ოპოზიცია, ალბათ, გონს უნდა მოეგოს, მოთოკოს თავისი ემოციები, ეცადოს ნორმალურ, ცივილიზებულ ჩარჩოში ჩააყენოს ინსპირირებული, არაჯანსაღი პროცესები ქვეყანაში, თორემ, როგორი საარჩევნო სისტემაც არ უნდა მივიღოთ, ხალხი ოპოზიციას მხარს არ დაუჭერს და, დიდი ალბათობით, მნიშვნელოვანი სხვაობით ოპოზიცია წააგებს არჩევნებს, ისევ ქუჩაში დარჩება და წაგებული არჩევნებს გაყალბებულად გამოაცხადებს...

რა, მერე... ხალხი და ხელისუფლება იმათ საკადრისს მიუზღავს!



**ბონდო ქობულია,**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

# ჯანდაცვაზე დანახარჯით საქართველო ბოლო ადგილზეა

**2011-2018 წლებში კლინიკების რაოდენობა 229-დან 273-მდე გაიზარდა. „ჭარბი სამედიცინო ინფრასტრუქტურა, ხშირ შემთხვევაში, მოსახლეობის სამედიცინო საჭიროებების გათვალისწინების გარეშე იქმნებოდა. კლინიკების რაოდენობის ასეთი სწრაფი ზრდა თავიდანვე არასწორად დაგეგმილი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შედეგი იყო. მთავარი პრობლემა კი ჯანდაცვაზე მზარდი ფინანსებია, კერძოდ, საყოველთაო ჯანდაცვის ბიუჯეტის ყოველწიური მატება“,** — ნათქვამია KAS EPRC ეკონომიკური არენის მიერ გამოქვეყნებულ კვლევაში.

კვლევაში ვკითხულობთ, რომ 2012 წელს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების (მათ შორის ჯანმრთელობის დაზღვევა) ჯამური დაფინანსება 332 მლნ ლარს შეადგენდა. ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება ყოველწლიურად მზარდია და 2019 წელს მილიარდ ლარს აჭარბებს. მისი უდიდესი წილი, 70%-ზე მეტი, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ხარჯებია. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედების შემდეგ, ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში ჯიბიდან გადახდების წილი შემცირდა. თუმცა, 2017 წლის მონაცემებით, ჯანდაცვის დანახარჯების დაახლოებით 55%-ს მოსახლეობა კვლავ საკუთარი ჯიბიდან იხდიდა. მიუხედავად ბოლო წლებში ჯანმრთელობაზე დანახარჯების მნიშვნელოვანი ზრდისა, არსებული მონაცემებით, ევროპის რეგიონის ქვეყნებს შორის, საქართველო ჯერ კიდევ ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა სახელმწიფო ჯანდაცვაზე დანახარჯის წილით როგორც მთლიან ჯანდაცვაზე დანახარჯებში (2017 — 38%), ასევე მშპ-სა (2017 — 2.9%) და სახელმწიფო ბიუჯეტში (2017 — 10%).



**„ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობისა და დანახარჯების კვლევის თანახმად, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედებამ შეამცირა სერვისებზე ფინანსური ბარიერები, განსაკუთრებით ჰოსპიტალურ სერვისებზე, ფინანსური ხელმისაწვდომობა გაიზარდა მედიკამენტებსა და ლაბორატორიულ გამოკვლევებზე. 2017 წელს მოსახლეობის 82% ეძებდა სამედიცინო მომსახურებას, თუკი ავადმყოფობდა 6 თვის განმავლობაში, მაშინ როდესაც იგივე მონაცემი 2014 წელს იყო 79%. იმ პაციენტების რაოდენობა, ვინც აცხადებს, რომ სჭირდებოდა ჰოსპიტალიზაცია, მაგრამ ვერ მოხვდნენ საავადმყოფოში, შემცირდა, კერძოდ, 2.2% — 2014 და 1.2% — 2017 წელს“,** — აღნიშნულია კვლევაში.

GBC.GE

# ივანიშვილს პრემიერის თანამდებობა არ ხიბლავს!



**„ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის მეგობარი, დეპუტატი თეიმურაზ ჭკუასელი „2020NEWS“-თან სამთავრობო ცვლილებების შესახებ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებს.** როგორც ჭკუასელმა სააგენტოს განუცხადა, საზოგადოება ჭორებს არ უნდა ენდოს.

**„ჩემი აზრით, ეს ინფორმაცია სანდო არ არის. მე ყოველ შემთხვევაში, მსგავსი ინფორმაცია არ გამაჩნია. სამთავრობო ცვლილებების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია ჩემთვის ჭორის დონეზეა“. როგორც დეპუტატი აცხადებს, ის „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის ხასიათს კარგად იცნობს, ამიტომ ჭკუასელი თვლის, რომ „ოცნების“ ლიდერი პრემიერ-მინისტრის თანამდებობას არ დაიკავებს. „ამ ადამიანის (გულისხმობს ბიძინა ივანიშვილის) ხასიათს კარგად ვიცნობ. ის თავის დროზე პრემიერი იყო. მას ეს თანამდებობა არ ხიბლავს. ახლანდელი პრემიერი, რომელიც ძალიან ჭკვიანია, თავის მოვალეობას ძალიან კარგად ასრულებს“,** — დასძინა ჭკუასელმა.

# ირაკლი ღარიბაშვილმა თავდაცვის ძალების სამი სამხედრო მოსამსახურე სამოქალაქო გმირობისთვის დააჯილდოვა



**თავდაცვის მინისტრმა უფროს სერჟანტ ზაზა ფერაძის სახელობის საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრის მეთაურს, ვიცე-პოლკოვნიკ ელგუჯა ბიბინიძეს, ამავე ცენტრის მძღოლს, კაპრალ-სპეციალისტ ირაკლი დევრისაშვილს და აღმოსავლეთ სარდლობის პირველი ქვეითი ბრიგადის მე-11 ბატალიონის კაპრალ-სპეციალისტ გოჩა ნონაშვილს თავდაცვის სამინისტროს უწყებრივი მედლები „სიცოცხლის გადარჩენისთვის“ გადასცა.**

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სამხედრო მოსამსახურეებმა მოქალაქეები დაღუპვას საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად გადაარჩინეს. **„ვიცე-პოლკოვნიკმა ელგუჯა ბიბინიძემ და კაპრალმა დევრისაშვილმა არხში ჩავარდნილი ავტომანქანიდან ასაკოვანი მოქალაქე გადმოიყვანეს, პირველადი სამედიცინო დახმარება ადგილზე აღმოუჩინეს და მის გადასარჩენად ყველა შესაბამისი ზომა მიიღეს. კაპრალმა გოჩა ნონაშვილმა კი, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანებული მანქანიდან მძიმე მდგომარეობაში მყოფი ოთხი მგზავრი ამოიყვანა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების მოსვლამდე პირველადი დახმარება აღმოუჩინა“,** — ნათქვამია თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციაში.

**მყობადში მიმდინარე ყველა მოვლენა გენეტიკურად წარსულთან არის დაკავშირებული. ამიტომ დღევანდელობის სწორი შეფასებისთვის საჭიროა, რომ მსოფლიოს ხალხთა ისტორიის ცალკეული მომენტები გავიხსენოთ, რომლებიც სწორი ანალიზი საშუალებას იძლევა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყოველთვის მძიმე იყო რიცხობრივად პატარა ერების ხვედრი. ბევრი მათგანი წაიშალა კიდეც მსოფლიო ისტორიის რუკიდან. ისინი ვერ უძლებენ დიდი სახელმწიფოების დამპყრობლურ მადას, არ შესწევთ ძალა გაუმასპინძლდნენ მათ აგრესიულ შემოტევებს, ან ითქვიფებიან დიდი სახელმწიფოების მოსახლეობაში, ცხოვრობენ მათი პოლიტიკური მრწამსით ან ნადგურდებიან.**

# პატარა ერების ხვედრი

საქართველო მოფლიომ უკვე გაიცნო, როგორც უძველესი ცივილიზაციისა და კულტურის ქვეყანა. ისიც გასაოცარია მუდმივ ბრძოლებსა და ომებში ჩართულმა ხალხმა როგორ შექმნა ამდენი. ათასეული წლებიდან გვიმზერს ისტორიის სისხლმდინარე ფურცლები, ყველა დიდმა დამპყრობელმა გადათელა მისი ღვთიური მიწა. იჯდა ქართველი მემატიანე და წერდა, აღნუსხავდა ყოველივეს, რათა მომავალი თაობებისთვის არ დაეკარგა ისტორია იმ ბილიკებისა, საიდანაც მოვდივართ. საკვირველი ისაა, რომ წიგნს, რომლიდანაც ტკივილისა და გმინვის ხმა მოისმის, „ქართლის ცხოვრება“ უწოდა. ეს არაა შემთხვევითი, ეს მართლაც ჩვენი ერის ცხოვრება იყო!

მსოფლიო ვერ ივიწყებს „ოქროს საწმისს“, რა იყო ის, რაც ძლიერმა საბერძნეთმა არ შეგვარჩინა, მართლა ოქრო, თუ უძველესი კულტურისა და ცივილიზაციის საიდუმლოებანი. მოკლეს მეფის ერთადერთი მემკვიდრე, სიყვარულში გაცვალა ულამაზესმა მედეამ სამშობლო, მამა, ძმა, გასცა საიდუმლოება და თან გაჰყვა უცხო ქვეყნის შვილს. აყვავებული კოლხეთის დიდებაც დაეცა. არ შეიძლება, არ დაგვაფიქროს **ჰეგელის** ასეთმა შეფასებამ: **„კოლხეთის უძველესი მიწიდან იწყება კაცობრიობის პროგრესი“**.

პატარა ერების სულიერი განწყობილება ყოველთვის იყო თვისუფლების მოპოვება, საკუთარი თავის **„კუთვნების“** სურვილი. ბრძოლა მხოლოდ მისი მოპოვებისთვის არაა საჭირო, მისი შენარჩუნებაც ძალიან რთულია. ერს შეუძლია მოუწიოს ილუზიური თავისუფლებით ცხოვრება. ჰგონია, რომ თავისუფალია, მაგრამ მაინც სხვა განაგებს მის ბედს. **„ყველაზე ნაკლებ სახარბიელო სხვის ხელში მაცქერალი არსების მდგომარეობაა, პატარა ხალხი კი დღეს ხშირად იმყოფება ასეთ მდგომარეობაში. მის ბედს სხვები განაგებენ, სხვები უკარნახებენ ბრძოლაში ჩარევას თუ თავის შეკავებას, სხვები ანგარიშობენ გამოსაღები მსხვერპლისა და მოსალოდნელი სანაზღაუროს რაოდენობას. რარიგ არ უნდა დამთვრდეს დიდი საერთშორისო შეჯიბრება, ლომის კერძი რომელიმე დიდ სახელმწიფოს ერგება, უეჭველია, პატარა ერები იძულებულნი იქნებიან, ნამცეცებს დაკმაყოფილდნენ“ (გერონტი ქიქოძე).**

აფხაზეთში შექმნილი ვითარება არ შეიძლება, რომ არ აფიქრებდეს ნებისმიერ ქართველს. ამ დღეებში გაიგონებთ ურთიერთგამომრიცხავ შეფასებებს. ზოგს ჰგონია, რომ ეს ყველაფერი რუსეთის ბრალია და მას აწყობს ასეთი დაპირისპირებები, ზოგი აფხაზებს ადანაშაულებს, ზოგისგან იმასაც კი გაიგონებთ, რომ მათ ჩვენი ცოდო მოეწიათ. თუმცა, დროის დიდი მასწავლებლის — ისტორიის ცოდნა არ აწყენდათ აფხაზებსაც. საქართველოში 1812 წლის ქართლ-კახეთის აჯანყება რუსების წინააღმდეგ სწორედ იმ დამპყრობლური და ცინიზმით აღსავსე ქმედებებით იყო განპირობებული, რომელსაც დღეს უფრო „ცივილიზებული“ ფორმით ანხორციელებს რუსეთი. ისე, აფხაზები დროულად რომ დაფიქრებულიყვნენ, იქნებ არ ეოცნებათ **„ზღვაში დახრჩობის“** სინდრომის აქცენტზე. აფხაზეთში უმაღლესი საბჭოს სხდომებზე აფხაზთა დეპუტაცია ხშირად გვესაუბრებოდნენ ნიშნის მოგებით, რომ მათ საქართველო რატომღაც პატარა მდინარედ ჰქონდათ წარმოდგენილი და აქ დახრჩობას ზღვაში დახრჩობა, ანუ რუსეთთან ყოფნა ერჩივნათ...

ძნელია დღეს, რომ აფხაზეთის ბედი დარდ-ფიქრად არ გვექცეს, სწორი პოლიტიკური შეფასება არ მივცეთ მათ ემოციურ და აგრესიულ გამოსვლებს. დამეთანხმებით, რომ ეს არ არის ერთი არჩევნების შედეგად გამოწვეული უკმაყოფილება. ეს წლების განმავლობაში დაგროვილი იმედგაცრუების შედეგია. მიუხედავად ამ მცირერიცხოვანი ერის (სულ 90 ათასამდეა!) ყოველმხრივ შევიწროებისა და მისი სულიერი და ფიზიკური დამცრობის, ერთეულები მაინც არიან, რომლებიც გრძნობენ იმ გლობალურ საშიშროებებს, რომელთა წინაშეც ისინი დგანან. ასეთი საშიშროებები უამრავია. პირველი, რაც დამოკლეს მახვილივით ჰკიდია მათ თავზე, არის სამი რუსული სამხედრო ბაზის არსებობა იმ პატარა მიწა-წყალზე. აფხაზებს რატომღაც დღესაც ჰგონიათ — ისინი მათი **„სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების“** გარანტორი, რაც საკუთარი თავის მოტყუება და სიყალბეა. ქართული მხარის მიერ არაერთხელ დაანონსებული ქვეყნის მიწა-წყლის მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით აღდგენა, მათი სურვილის მიღმა რჩება. მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არავითარ მოწესრიგებას არ ექვემდებარება, სომხური დიასპორის უკონტროლო მომრავლება აფხაზეთის მიწა-წყალზე და დროდადრო მათ მიერ სამი რაიონის ხარჯზე სომხური კულტურული ავტონომიის მოთხოვნაა. დროთა ვითარებაში, ძნელი წარმოსადგენია ამ მოვლენის პერსპექტივა და მისი სავალალო შედეგები. მესამე, კრემლის ყველაზე სანუკვარი საუკუნოვანი ოცნების განხორციელების რეალური საფრთხე — აფხაზეთში უძრავი ქონებისა და მიწების გაყიდვის დაკანონება აფხაზთა ხელით.




ამის გარდა, მრავალი სხვა ფარული საფრთხეები უკვე მეოთხედი საუკუნეა, მწიფდება აფხაზთა ქვეცნობიერში. ისინი იწვევენ შიშნარევ პროტესტის გრძნობას. სამწუხაროდ, აფხაზები აღმოჩნდნენ დიდი დილემის წინაშე. ამ პრობლემების რადიკალური გარღვევის პერსპექტივა ნულოვანია!

აფხაზეთის გეოპოლიტიკური მდგომარეობა ჩაკეტილ სივრცეში ტრიალებს. იქით რუსეთი, აქეთ „მტრულად განწყობილი“ საქართველო. მესამე, უბრალოდ, არ არსებობს, მიუხედავად რუსეთის მხრიდან დიდი მცდელობისა, აფხაზეთის საერთაშორისო აღიარება მაინც არ მოხდა.

ერთი მოვლენა მინდა გავიხსენო გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. ქართველთა დიდ მეგობართან, სულმნათ **რაულ ეშბასთან** მუშაობის პერიოდში, მას ეწვია რამდენიმეკაციანი დელეგაცია ევროპის განვითარებული ქვეყნიდან. წილად მხვდა ბედნიერება, რაულ ეშბას სახელით მემასპინძლა მათთვის. ერთად მოვიარეთ ბიჭვინთა, ცისფერი ტბა და რიწის ზღაპრული მიდამოები. შუა ტრაპეზის დროს დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა, რომელიც აღფრთოვანებული და მოხიბლული იყო ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეში წელიწადის სამი დროის ხილვით — ბიჭვინთაში სიცხიანი ზაფხულით, ცისფერ ტბაზე ხეებზე გაყვითლებული ფოთლებითა და შემოდგომის სურნელით, რიწაზე ზამთრის იმიტაციით მარადიული თოვლის სახით, ყველას გასაგონად თქვა: **„ბატონებო, თქვენ ისეთი მშვენიერი ქვეყანა გაქვთ, არა მგონია, ეს შეგარჩინოთ ამა ქვეყნის ძლიერთა ძალამ!“** ყველა გაოგნდა! გავიდა სულ რაღაც 4-5 წელიწადი და ეს სამწუხარო წინასწარმეტყველება სინამდვილედ იქცა! ახლა ვფიქრობ, თუკი ეს ჩვენ, ქართველებს, შეგვეხო, არსებობს კი რაიმე გარანტია იმ მცირერიცხოვანი აფხაზებისთვის, რომ ეს არ შეეხოს და მათთვისაც არ დაიკარგოს ეს **„აღთქმული ქვეყანა“**. ჩემი ღრმა რწმენით, აფხაზეთის ირგვლივ განვითრებული 25-წლიანი პროცესები აქეთკენ მიდის. ამისთვის, ჩვენდა საუბედუროდ, ყველანაირი წინაპირობა არსებობს.

მაგრამ, ცნობილი სენტენციისა არ იყოს, **„ყველა გზა რომისკენ მიდის“**. აფხაზების დღევანდელ ტკივილს ჩვენზე უკეთესად ვერავინ გაიგებს. ისინიც ჩვენნაირად მცირერიცხოვანნი არიან, უწევთ დიდი რუსეთის მხოლოდ ნამცეცებით დაკმაყოფილება. ვერ მიიღეს ის, რასაც ელოდნენ, ომის შედეგად დანგრეული აყვავებული აფხაზეთი ისევ ისე გამოიყურება, სამწუხაროდ, ვერ გახდა პატარა შვეიცარია. თანდათან აფხაზები დემოგრაფიული კატასტროფისკენ მიდიან, როგორც სულმნათი **ლორიკ მარშანია** წერდა: **„ორმოცდაათი წლის შემდეგ აფხაზური ეთნოსი შეიძლება გადაშენების პირას მისული ერების რიცხვში მოხვდეს“**. აფხაზები კარგად ხედავენ სომხების თავხედურ გამოხტომებს, რუსების მიერ ყველა სადავის ხელში აღებას, რაც აფხაზთა უფლებების შეზღუდვით ხდება.

მე ჩემს წიგნში **„ო, აფხაზეთო!“** უკვე აღვნიშნე, რომ იმ ომში, რომელიც ჩვენსა და აფხაზებს შორის მოხდა, ორივე დამარცხებული აღმოვჩნდით! ამ ომს დღეს გამარჯვებული არ ჰყავს. ამას, ალბათ, ახლა მიხვდნენ აფხაზები. ჩვენთან მათ ჰქონდათ კეთილმეზობლური, კეთილმეგობრული, რელიგიური და ნათესაური ურთიერთობები. უამრავი საერთო ოჯახი იქმნებოდა. ყოველივე ამას ვერ გავუფრთხილდით, ეს იყო პოლიტიკური დაუდევრობა ორივე მხრიდან.

აფხაზეთის დაკარგვით ჩვენ მხოლოდ მიწყა-წყალი არ დაგვიკარგავს, მას ჰქონდა ძლიერი პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი და სტრატეგიული მნიშვნელობა. იქ ჩვენი დიდი ისტორიაა. აფხაზეთის მატერიალური კულტურის თითქმის ყველა ძეგლი ქართულია. ბედიის მონასტერში განისვენებს გაერთიანებული საქართველოს მეფე ბაგრატ მესამე.

აფხაზეთი საქართველოს დიდი სულიერი ნაწილია. როგორც არ უნდა გააყალბონ მისი ისტორია (ამის აშკარა სინდრომი არსებობს უკვე რუსეთის გარკვეული წრეების ხელშეწყობითა და მონაწილეობით), როგორც არ უნდა შეღებონ კულტურის ძეგლები (აშკარაა ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის მაგალითი!), დაუკარგონ პირვანდელი სახე, მაინც ვერ წაშლიან იმ ისტორიულ სინამდვილეს, რომ აფხაზეთი საქართველოს უძველესი ნაწილია. ამის დასტურად აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ეს სიტყვებიც კმარა, რომელიც სიმართლეს დაგვანახვებს: **„როგორც ფეოდალური ქვეყანა, აფხაზეთი ისეთივე საქართველო იყო და აფხაზი ისეთივე ქართველი იყო, როგორც ეგრისი და მეგრელი, როგორც ჰერეთი და ჰერი, როგორც ქართლი და ქართლელი“**.

მუხედავად ბევრი ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებისა, ჩვენ სულაც არ გვინდა აფხაზი ეთნოსის განადგურება, მათი შველა კი მხოლოდ ქართველებს შეუძლიათ. ომითა და ძალმომრეობით დანგრეულს კვლავ ომის ცეცხლი ვერ ააშენებს. დაფიქრებისთვის მეოთხედი საუკუნე გვქონდა. დროა, გადავდგათ ერთმანეთისკენ მშვიდობიანი ნაბიჯები, გავუწოდოთ სამოყვროდ და სამეგობროდ ხელი, უახლესი ისტორიის მწარე ფურცლები წარსულს უნდა ჩავაბაროთ. ამის ნიშნები უკვე მოდის აფხაზებიდან, თუმცა რამდენად ჯანსაღია ეს აზრები, დრო გვიჩვენებს. ამის მოგვარებაში, რა თქმა უნდა, დიდია რუსეთის ფაქტორი. უნდა მოვაგვაროთ რუსეთთან მშვიდობიანი ურთიერთობა, არც აფხაზები და არც ქართველები არ უნდა დავეცეთ შინაგანად, ვიცოდეთ სამშობლოს ჭეშმარიტი ფასი, გამოვნახოთ გზები მის გადასარჩენად.

**აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტას მრავალი გარეგანი და შიდა ფაქტორი უშლის ხელს. მთავარია მათი გათვალისწინება და შესაბამისი სწორი და ისტორიისთვის შესაფერისი დასკვნის გამოტანა.**

**გამაგრდით აფხაზებო! იფიქრეთ ეპოქალური გადაწყვეტილების მისაღებად. ნამდვილი გამარჯვების გზა ჭეშმარიტებით უნდა სუნთქავდეს...**



**მურმან კვარაცხელია,**
**აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, პროფესორი.**
iveriioni.com.ge

## ყაზბეგის ისტორიულ მუზეუმში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს

**დაბა სტეფანწმინდაში, ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის ისტორიული მუზეუმის კომპლექსში შემავალი სამი შენობის — ისტორიული მუზეუმის შენობის, ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმისა და ნიკოლოზ ყაზბეგის (ალექსანდრე ყაზბეგის ბიძა) სახლის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. პროექტი მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება და რეაბილიტაციისთვის ოთხ მილიონ ლარამდე დაიხარჯება. სამუშაოებს შპს „იკორთა 2007“ აწარმოებს. მუნიციპალური განვითარების ფონდის ინფორმაციით, პროექტის განხორციელება მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ტურიზმის განვითარებისთვის ხელსაყრელ პირობებს შექმნის. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. სარეაბილიტაციო სამუშაოები 2019 წლის ნოემბერში დაიწყო და დასრულება 2021 წლის ნოემბერშია დაგეგმილი.**



# თქვენი შვილი «მამლაყინწაა» თუ «კრავი»?

**თუ ბიჭუნას მშობელი ხართ, მაშინ ნამდვილად გამოგადგებათ ავსტრალიელი ფსიქოლოგისა და მწერლის, აღზრდის საკითხებში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ექსპერტის, არაერთი ნაშრომის ავტორის მეგი დენტის რჩევები, რომელიც თავად ოთხი ვაჟის დედაა.**

**სწორედ ამიტომ, თეორიულთან ერთად, მას საკმაოდ დიდი პრაქტიკული გამოცდილებაც აქვს ბიჭების აღზრდის საკითხში.**

**მეგი დენტის გამოცდილებასა და პროფესიულ კვალიფიკაციაზე დაფუძნებული კონსტრუქციული რჩევები ასე გამოიყურება:**

**იდეა,** რომ ბიჭი გოგონაზე ძლიერია და ის უფრო მკაცრად უნდა აღვზარდოთ, რათა **„ნამდვილ კაცად“** ჩამოყალიბდეს – სახიფათოა და მავნებელი. რეალურად ბიჭები უფრო მალალები, ანუ მოწყვლადები არიან, ვიდრე გოგონები.

კვლევები აჩვენებს, რომ ბიჭის ტვინი უფრო ნელა ვითარდება, ვიდრე გოგონასი, რაც ტესტოსტერონის გავლენით აიხსნება. ამ შენელებული განვითარების გამო კი, ფსიქოლოგიურ სტრესსა და ნეგატიურ გარემოს შეუძლია, უფრო მძლავრი გავლენა მოახდინოს მის შინაგან მდგომარეობასა და ქცევაზე;

მოსაზრება, რომ ბიჭები ნაკლებ ემოციურები არიან – სახიფათო მითია. ბიჭები ისეთსავე მძლავრ ემოციებს განიცდიან, როგორც გოგონები, უბრალოდ, მათ მეტად უჭირთ ამის გაცნობიერება და ფორმულირება. ამიტომ მშობელმა ბიჭი აუცილებლად უნდა დაიცვას ისეთი ადამიანებისგან, რომლებიც ცდილობენ, **„ნამდვილი მამაკაცის“** შესახებ ცრუ ფორმულებით (მაგალითად, „ბიჭები არ ტირიან“) გამოუჭედონ ბავშვს თავი;

ის ფაქტი, რომ ბიჭუნების ტვინი შედარებით ნელა ვითარდება, იმაშიც ვლინდება, რომ გოგონები უფრო ადრე იწყებენ ლაპარაკს და სკოლაში შესვლის დროისთვის ამ უკანასკნელებს უფრო მდიდარი ლექსიკონი აქვთ. ამიტომ მშობელმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეადარონ თავიანთი ბიჭი რომელიმე გოგონას და მიუთითოს, რამდენით სჯობნის ის მას.

გახსოვდეთ: **ბიჭები გოგონებს დაახლოებით 8 წლის ასაკში ეწევიან!**

ყურადღებით შეარჩიეთ საბავშვო ბაღი ბიჭისთვის.

გამომდინარე იქიდან, რომ ისინი თანატოლ გოგონებს განვითარებაში 6-12 თვით ჩამორჩებიან, ემოციურად უფრო მალალები არიან. ამიტომ, საერთოდაც სჯობს, რომ ბიჭი სამ წლამდე ოჯახში იზრდებოდეს და არა საბავშვო დაწესებულებაში. მაგრამ, თუ სხვა გამოსავალი არა გაქვთ, მიიყვანეთ ბიჭი ისეთ ბაღში, სადაც აქცენტს არა ბავშვის განვითარებაზე, არამედ მასთან ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე აკეთებენ.

ნუ დაიწყებთ ბიჭის გამოკითხვას, რა ხდებოდა ბაღში თუ სკოლაში იქიდან წამოყვანისთანავე. ბიჭების უმრავლესობას ჯერ სტრესისგან (ასეთია მათთვის სკოლაცა და ბაღიც) მოდუნება სჭირდებათ და ამიტომ პასუხისთვის მზად ვერ იქნებიან. მიეცით ბავშვს რაიმე გემრიელი და შეძლებისდაგვარად მალე მიიყვანეთ შინ. გამოკითხვისთვის (და არა დაკითხვისთვის!) საუკეთესო დრო – ეს ბანაობისა და დასაძინებლად დაწოლის მომენტია. ამ დროს ბიჭები უფრო მოდუნებულები არიან და დედასთან გულახდილობის ხასიათზე დგებიან;

უნდა იცოდეთ, რომ ბიჭები (ისევე როგორც გოგონები) ტემპერამენტით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. განიხილეთ ისინი **„კრავებად“** და **„მამლაყინწებად“**. ეს პრაქტიკულად ერთმანეთის საწინააღმდეგო ქცევის სტილია. მშობლის ამოცანაა, ხელი შეუწყოს ბიჭში საპირისპირო უნარ-ჩვევების ბალანსირებულად განვითარებას.




**„მამლაყინწა“ ბიჭები:**

სწყურიათ დამოუკიდებლობა;

ცდილობენ ყველაფერი თავისით გააკეთონ;

არიან ძალიან ჯიუტები;

ხმამაღლა ყვირიან;

აქვთ ულევი ენერგია;

ჰყოფნით ცოტა ძილი;

უყვართ ბევრი კითხვის დასმა და ყველაფრის გამო კამათობენ: ჭამის, ტანსაცმლის, სათამაშოსა და ა.შ.

უნდათ ყოველთვის პირველები იყვნენ;

თავს ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ;

არ უყვართ საკუთარი ნივთების სხვებისთვის თხოვება;

ხშირად ავლენენ აგრესიასა და ბრაზს;

არიან მოუთმენლები და იმპულსურები;

არიან ძალიან მგრძნობიარენი სხვათა აზრის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ისე იქცევიან, თითქოს მათთვის სულერთი იყოს.

„მამლაყინწა“ ბიჭების მშობლებმა, განსაკუთრებით 5 წლამდე, ყურადღება უნდა გაამახვილონ ისეთი თვისებების განვითარებაზე, როგორებიცაა: თანაგრძნობა, მოთმინება და სიმშვიდე. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ზედმეტად „ბატონებად“ ჩამოყალიბდებიან და სხვა ბავშვებს სიცოცხლეს გაუმწარებენ.

ამავდროულად უნდა გესმოდეთ, რომ „მამლაყინწები“ ძალიან განიცდიან ჩავარდნებსა და წარუმატებლობებს, რასაც ისინი აგრესიით ფარავენ.

„მამლაყინწა“ ბიჭუნებს უყვართ საზღვრების შემოწმება. ამიტომ მშობლებმა წყნარად და დამაჯერებლად უნდა შემოუხაზონ ეს საზღვრები – ყვირილის, ჩხუბისა და დასჯის გარეშე.

**„კრავი“ ბიჭები:**

უყვართ ძილი;

არ უყვართ ხმაური და გადაჭარბებული სტიმულაცია;

ძალიან მგრძნობიარეები არიან ყვირილისა და დასჯის მიმართ;

უყვართ მარტოობა;

არიან ძალიან მშვიდები და არ აპროტესტებენ „მამლაყინწების“ წინ გაშვებას;

დიდი დრო სჭირდება ადამიანებთან შესათვისებლად;

არ ჰყოფნით თავდაჯერებულობა, ამიტომ გადაწყვეტილების მიღება უჭირთ;

არიან საკმაოდ მორცხვები;

დიდი დრო სჭირდებათ ცვლილებებთან შესაგუებლად;

თუ რამე აფრთხობთ, იმალებიან.

„კრავი“ ბიჭების მშობლებმა აუცილებლად უნდა იზრუნონ მათში თავდაჯერებულობისა და გაბედულების განვითარებაზე – განსაკუთრებით, 5 წლამდე. მაგრამ არ უნდა დააძალოთ მათ იმის გაკეთება, რაც არ უნდათ ან აშინებთ – ამან შესაძლოა, ისეთი ტრავმა მიაყენოს „კრავს“, რომელიც მთელი ცხოვრება გაჰყვება. სჯობს გაამხნევეთ ის სიტყვებით: „შენ ამას შეძლებ, როცა მზად იქნები“. მოარიდეთ საშიშ ფილმებსა და გადაცემებს.

**„კრავებს“ დიდი დრო სჭირდებათ ნაცნობ ადამიანებთან ურთიერთობისთვისაც კი. ნუ დააძალებთ, დაელაპარაკოს ან ეთამაშოს ვინმეს, თორემ წინაღობის გადალახვა კიდევ მეტად გაუჭირდება. იცოდეთ, რომ ზრდასრულ ასაკში „კრავები“ ხშირად უფრო გაბედულად და მტკიცედ იქცევიან, ვიდრე „მამლაყინწები“.**

მთავარია, რომ „კრავებიცა“ და „მამლაყინწებიც“ გრძნობდნენ და დარწმუნებულები იყვნენ, რომ დედას ისინი უყვარს. ხშირად, მშობლების გასაოცრად, ირკვევა ხოლმე, რომ ბიჭებს ამაში ეჭვი ეპარებათ.

**წყარო: „სპუტნიკი“**





„გულის ჯიბით სატარებელი წიგნები“

# მარტოსული პოეტი რომანტიზმის ოლიმპოზე

**საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციამ ქართველ მკითხველს საახალწლოდ კიდევ ერთი კარგი საჩუქარი გაუკეთა, ხოლო მინიატიურულ წიგნთა მოყვარულებს კი შესაძლებლობა მიეცათ თავიანთი ბიბლიოთეკისთვის კიდევ ერთი კარგი წიგნი შეემატებინათ. ქალბატონ ლია ნადარეიშვილის** მთავარი რედაქტორობით გამოცემის ხელმძღვანელმა, ბატონმა **შოთა კობიაშვილმა** მკითხველს დიდი ქართველი რომანტიკოსი პოეტის **ნიკოლოზ ბარათაშვილის** ლექსების, პოემებისა და წერილების შესანიშნავი წიგნი მიაწოდა, რომლის წინასიტყვაობის ავტორი გახლავთ **ლადო მინაშვილი** სეფეწერილით „ბედი გენიალური პოეტისა“. ამ 150 წლის მანძილზე იმდენი რამ დაწერილა ნაადრევად გარდაცვლილი მსოფლიო დონის რომანტიკოსისა და ახალი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენლის შემოქმედებისა და ხანმოკლე ცხოვრების შესახებ, რომ მართლაც ზედმეტად მივიჩნევთ ამ საგაზეთო წარდგინებაში მის გადმოცემას, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით შესავალ წერილში დიდი პროფესიონალიზმითა და პოეტის შემოქმედების ღრმა ცოდნით წარმოჩინებას. მარადიული სიყვარულის, სულიერი სილამაზის, მებრძოლი სულისა და მიუღწევლობით გამოწვეული პესიმიზმით გამსჭვალული პოეტის ლექსების შესახებ საუბარი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, თუ რაოდენ საჭიროა დიდი მოღვაწის მიმართ სიცოცხლეშივე გამოიჩინონ ყურადღება, ვიდრე შემდგომ, როდესაც მარტოსულ პოეტს გარდაცვალების შემდეგ მადლიერი „სამოციანელები“ ხელმეორედ არ აღმოაჩენენ და მარადიულობის მწვერვალზე არ აიყვანენ. მეტად საყურადღებოა პოეტის წერილები გრიგოლ, მაიკო და ზაქარია ორბელიანებისადმი, ბაბალე და ალექსანდრე საგინაშვილებისადმი, მიხეილ თუმანიშვილისადმი. სწორედ ეს წერილებია იმდროინდელი საქართველოს სუნთქვის, ყოველდღიურობის და ისტორიული ადგილის განმსაზღვრელი, პოეტის სულისა და მისწრაფებების გამომხატველი.




წიგნი, რომლის მხატვრული რედაქტორიც გახლავთ **გიორგი წერეთელი,** დასურათებულია **ლევან ცუცქირიძის** გრაფიკული ნამუშევრებით.

**მამუკა ვაშაკიძე**

# მსოფლიო ისევ დუღს!..

**2020 წელი პოლიტიკური ცხოვრების ისეთი სწრაფი ტემპით დაიწყო, რომ ფეხის აყოლაც ჭირს. იანვრის პირველ ნახევარში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ შინ და გარეთ განვითარებული, უმთავრესად ავის მომასწავებელი მოვლენები, რომლებმაც საახალწლო დღესასწაულების მშვიდი დღეები უმალ დაგვავიწყა და თავით გადაგვიშვა პრობლემების მორევში.**

**ახალი წლის აჩქარებული პოლიტიკური მაჯისცემა, როგორც ჩანს, მთელი წლის განმავლობაში გაგვყვება, ვინაიდან დაგეგმილი თარიღები თავისთავად იწვევს მოჭარბებულ ყურადღებას, აზრთა ჭიდილს, დაპირისპირებას. ვინმეს წარმოუდგენია, საქართველოს საპარლამენტო არჩევნების ისეთ მშვიდ ვითარებაში ჩატარება ევროპაში რომ ხდება? ვინმე ივარაუდებს, რომ არჩევნებში დამარცხებული გამარჯვებულს მიულოცავს?**

**აქედანვე ჩანს, რომ დამარცხებული არ შეეგუება, თუნდაც სამართლიან მარცხს და შეეცდება გამარჯვებულზე იერიშის მიტანას. არჩევნებამდე თითქმის ერთი წელია დარჩენილი, რომელსაც ხელისუფლება და გაერთიანებული ოპოზიცია ერთმანეთის ლანძღვა-გინებაში დახარჯავს, ხოლო ამომრჩეველი უფასო საცირკო წარმოდგენის ყურებაში.**




ამ ეტაპზე ამომრჩეველს, ანუ ხალხს, არც ერთი მხარე არაფერს ეკითხება, არ აწუხებს. შეწუხების ჟამი არჩევნებამდე ორი კვირით ადრე დადგება. ასეთია ქართული საარჩევნო ისტორია, რომლის შეცვლა არც ხელისუფლებას და არც ოპოზიციას არ სურს. სურვილის შემთხვევაში ერთიც და მეორეც სხვაგვარი პროგრამით წარდგებოდა ამომრჩევლის წინაშე და არა ყბადაღებული პროპორციულ-მაჟორიტარული სისტემების ჟღარუნით, რომელთა შესახებ ამომრჩეველს არაფერი გაეგება. რაც მან იცის, უმძიმესი სოციალური ვითარებაა, სულს რომ უხუთავს, თავის გამოკვების შანსს რომ არ აძლევს.

...იანვრის პირველ ნახევარში მმართველმა პარტიამ უროს დარტყმა იგემა. სხვას ვერაფერს იტყვი **„ჰიუმან რაითს ვოჩის“** მიერ საქართველოს შესახებ გამოქვეყნებულ უაღრესად კრიტიკულ მასალაზე და NDI-ის მიერ ჩატარებულ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებზე. ორივე მძიმე რამ არის და არცთუ იოლად გადასატანი ნებისმიერი პარტიისთვის, მით უმეტეს მმართველი **„ოცნებისთვის“,** რომელიც ისეთ წნეხს განიცდის ოპოზიციისგან, უარესს რომ ვერავინ იფიქრებდა.

ახია მასზეო — იტყვის მავანი **„საოცნებო“** ხელისუფლების მიმართ და მართალიც იქნება. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის გაკეთებული დაპირებებიდან, უმთავრესი მაინც რომ შეესრულებინა — სამართლიანობის აღდგენის და კრიმინალური ორგანიზაცია „ნაციონალური მოძრაობის“ სამაგალითოდ დასჯის სახით, დღეს სხვა ვითარება იქნებოდა, მაგრამ რა გაეწყობა. მატარებელმა ჩაიარა. ახლა საჭიროა სხვა ზომების მიღება, ისეთის, ამომრჩეველს რომ მისკენ მიახედებს. ასეთი, ისევ და ისევ მოსახლეობაზე, მის კეთილდღეობაზე ზრუნვაა, სოციალური პირობების გაუმჯობესება, მაგრამ შეძლებს კი „ოცნება“ ზღვა გადაუჭრელი საკითხების მოგვარებას ერთობ მცირე დროის მონაკვეთში?!

შეძლებს ოპოზიცია, გამარჯვების შემთხვევაში, ხალხისთვის, ქვეყნისთვის რაიმე პოზიტიურის გაკეთებას, ვითარებას რომ კარდინალურად შეცვლიდა? საეჭვოა, ვინაიდან ხელისუფლების ლანძღვის და **„პროპორციულის“** გარდა მას პირზე არაფერი აკერია.

გაიგებს ხელისუფლება გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკის“** მთავარი რედაქტორის მოწოდებას: **„ან მოაშორეთ საქართველოს ეს გამიზნულად ანტიქართული, მატყუარა, ნატოს მხარდამჭერი არასამთავრობო ორგანიზაციები, ან თქვენ მოგაშორებთ ქართველი ხალხი (2020 წელსვე) მართვის სადავეებს...“.** თუ ხელისუფლება არ გაიზიარებს გაზეთის მოწოდებას, ხელში შერჩება უხალხოდ დარჩენილი მთა-ბარი, ვინაიდან ის, ვინც ჯერჯერობით აქ არის დარჩენილი, იქ გადასახლდება, სამშობლოდან შორს, ლუკმაპურის საძიებლად.

იანვრის პირველი ოცი დღე სენსაციური გამოდგა რუსეთისა და მსოფლიოს საზოგადოებისთვის. პრეზიდენტმა პუტინმა რუსეთის დუმისთვის მიმართვაში კრიტიკულად შეაფასა განვლილი პერიოდი, დასახა ახალი ამოცანები ქვეყნის მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესების, დემოგრაფიული სურათის უკეთესობისკენ შეცვლისთვის, დედისა და ბავშვის ცხოვრების დონის ამაღლებისთვის, სხვა ისეთი საკითხების გადაჭრისთვის, რომლებიც კარგა ხანია, ელოდებიან სერიოზულ ცვლილებებს.

პრეზიდენტის მიერ წარდგენილ პროგრამაში ბევრი რამ ითქვა ისეთი, შურის აღძვრა რომ ჰქვია. როგორ არ შეგშურდება მწყრალი დემოგრაფიით შეწუხებულს პირველ ახალშობილზე შესაბამისი ფინანსური დახმარება, ხოლო მეორე, მესამე, ...ბავშვებზე გაზრდილი თანხები? კონსტიტუციით, პენსიონერთა პენსიების სავალდებულო ინდექსაციით გამყარება?

**პუტინის განცხადებით, სახელმწიფოს მიერ ტრილიონობით გამოყოფილი თანხებით განხორციელდება გრანდიოზული სოციალური პროგრამა, რომლის მიზანი მარტივია — საგარეო გამოწვევების იოლად გამკლავებელი, ერთ მუშტად შეკრული, შეძლებული საზოგადოების ჩამოყალიბება.**

**გამოწვევები კი რუსეთს ბევრი აქვს, თუმცა დღევანდელ რუსეთს, მძლავრი, თანამედროვე იარაღით აღჭურვილს და გაწვრთნილი არმიის მქონეს, ისინი კატასტროფად არ მიაჩნია. პრეზიდენტის მიმართვაში ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ შეიარაღებით, ახალი დახვეწილი ზებგერითი იარაღით რუსეთი პირველია მსოფლიოში და ის კი არ ეწევა სხვას, არამედ სხვა ცდილობს, მას დაეწიოს. დღევანდელი რუსეთი თავისი სამხედრო ძლიერებით, ეროვნული პროდუქტის წარმოებით, პოლიტიკური სტაბილურობით, სხვა პარამეტრებით, თვით ამერიკელ ექსპერტთა კვლევით მეორეა მსოფლიოში, აშშ-ის შემდეგ, მესამე კი ჩინეთი.**

რუსეთის საგარეო პოლიტიკამ ახლო აღმოსავლეთსა თუ სხვაგან — ეს ქვეყანა ისეთად წარმოაჩინა საერთაშორისო საჭადრაკო დაფაზე, ანგარიშს რომ უწევენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი. ისინი რჩევას და დახმარებას ითხოვენ მისგან.

**რუსეთი პაიკი აღარ არის და ეს უნდა შეიგნოს ქართულმა პოლიტიკამ. წინააღმდეგ შემთხვევაში მას დიდი თავსატკივარი ექნება. ვაშინგტონსა და ბრიუსელზე ორიენტირებულმა პოლიტიკოსებმა ისიც უნდა მიიღონ მხედველობაში, რომ რუსეთის გვერდის ავლით ნატო ვერ შეძლებს საქართველოს ამ ორგანიზაციაში გაწევრებას და რაც არ უნდა დაგვაიმედოს ნატოს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა — მესამე მხარეს, ანუ რუსეთს არავინ ეკითხება ნატოში საქართველოს გაწევრებასო, მისი იმედით აქ თუ მოვიფხანთ გულს, თორემ საკითხი ისევ გადაუჭრელი დარჩება.**

ამერიკული, ვითომ არასამთავრობო, სინამდვილეში კი სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციების (ანტირუსულად განწყობილების) თვალში ციცინი კარგს არაფერს გვიქადის. ისინი თავიანთ საქმეს აკეთებენ — გვალანძღვინებენ რუსთს — მუდმივად, თავდავიწყებით და ამ საქმისთვის საკუთარი გადასახადის გადამხდელთა მიერ მოგროვებული მსუყე თანხებიდან, ნაწილს აქაურ შვილობილ არასამთავრობოებს ახმარენ, ნაწილს ჯიბეში იდებენ „კეთილშობილური“ საქმის დირიჟირობისთვის.

**რუსეთი ანგარიშგასაწევი ქვეყანაა. ასეთიც რომ არ იყოს, მართლაც უზარმაზარია, ბირთვულია და საუკეთესო ბაზარია საქართველოს მიერ წარმოებული პროდუქციის გასაღებისთვის. ასეთ ბაზარს ხელიდან არავინ გაუშვებს. ეს კარგად იციან დასავლელმა, მათ შორის ამერიკელმა ბიზნესმენებმა, რომლებმაც, მიუხედავად საკუთარი ადმინისტრაციის მიერ შემოღებული სანქციებისა, რუსეთთან ბიზნესურთიერთობები არათუ შეამცირეს, გაზარდეს კიდეც.**

ახალი წლის განვლილი ოცი დღე, აშშ-ის პრეზიდენტის ტრამპის წყალობით დრამატიზმით იყო აღვსილი, ისეთით, ფართო, საყოველთაო ომი რომ შეეძლო, გამოეწვია. ირანელი გენერლის ყასემ სოლეიმანის აფეთქებამ და მასთან ერთად თანმხლები ათი პირის, უაღრესად დაძაბა ორ ქვეყანას შორის ისედაც დაძაბული ურთიერთობა.

მკითხველმა იცის ირანის პასუხის თაობაზე — ერაყში მდებარე 2 ამერიკული სამხედრო ბაზის დაბომბვა, რაზეც აშშ-მა არ უპასუხა, თუმცა თავდასხმის მოლოდინში მყოფმა ირანელებმა საჰაერო სივრცეში მფრინავი უკრაინის სამგზავრო თვითმფრინავი, ამერიკულ რაკეტად შეაფასეს და ჩამოაგდეს. ამ ტრაგიკულმა ინციდენტმა 176 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ირანმა აღიარა შეცდომა და ბოდიში მოიხადა, ანაზღაურების გადახდაზეც მზადყოფნა გამოთქვა, მაგრამ უშველის კი შეწყვეტილ სიცოცხლეს?

ირანის მიერ თავდაცვის მიზნით ნასროლი რაკეტა მწარე გაკვეთილი უნდა იყოს იმათთვის, ვინც იარაღის ჟღარუნით აღიზიანებს სხვას. შემთხვევითობამ ისეთი რამ შეიძლება გამოიწვიოს, სანანებელიც კი აღარ დარჩეს კაცობრიობას.

ამერიკელთა მიერ ყასემ სოლეიმანის მკვლელობამ სიახლე შეიტანა საერთაშორისო ცხოვრებაში — ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის სამხედრო თუ პოლიტიკური მოღვაწის ფიზიკური განადგურება, რაც მიუღებელი, დასაგმობი რამ არის ნებისმიერი ქვეყნის მხრიდან. მაგრამ სამწუხაროდ, ამას შესაბამისი რეზონანსი არ მოჰყოლია, რაც დიდთან და ძლიერთან მონური დამოკიდებულების აშკარა დასტურია.

მართალია, აშშ-ის მოკავშირეებმა კანადამ, საფრანგეთმა, გერმანიამ, სხვებმა, თვით ამერიკელმა მაღალჩინოსნებმა ამერიკის პრეზიდენტ ტრამპის გადაწყვეტილების საწინააღმდეგო მოსაზრებები გამოთქვეს, მაგრამ არასაკმარისი, შიშნარევი. არადა, მსგავსი აქტი რომ სხვა ქვეყანას ჩაედინა, მთელი მსოფლიო, აშშ-ის ჩათვლით, მიესეოდა და ლანძღვა-გინებით, სანქციებით აიკლებდა.

საკუთარი შეცდომის არაღიარების მიზნით ტრამპმა და მისი გუნდის წევრებმა გენერალი სოლეიმანი ტერორისტად შერაცხეს და მსოფლიოს აუწყეს, რომ ამერიკამ იხსნა მთელი რიგი ქვეყნები ტერორისტული აქტებისგან — ყასემ სოლეიმანს რომ დაგეგმილი ჰქონდა.

**ტრამპის განცხადება, საქართველოს ხელისუფლებამ სავალდებულოდ ჩათვალა და მანაც დაგმო ტერორიზმი, ცხადია ირანული. უმალ აყაყანდა პროდასავლური ოპოზიცია, ექსპერტობა, მედია. დაგმეს ირანი არა მარტო თვითმფრინავის ჩამოგდების გამო, არამედ ტერორიზმის გამო, რომელიც ისე შორს არის ტერორიზმთან მებრძოლ ირანისგან, როგორც ცა და დედამიწა.**

საქართველო-ირანს შორის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობები არსებობს, რომელთა ამოშლა ისტორიიდან შეუძლებელია. ამ ხნის მანძილზე ცუდიც ბევრი იყო და კარგიც. განა სხვა ქვეყნებს ერთმანეთთან მუდამ ტკბილი ურთიერთობები ჰქონდათ?

ირანი ყოველთვის მოწიწებით ეპყრობოდა დამოუკიდებელ საქართველოს, მხარს უჭერდა და უჭერს მის ტერიტორიულ მთლიანობას გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, მზადაა პრაგმატული ურთიერთობებისთვის; ეკონომიკის, ვაჭრობის, ტურიზმის დარგებში, მაგრამ აშშ-ის წყალობით და კარნახით, საქართველოს ხელისუფლებამ შეზღუდა ეს ურთიერთობები, რითაც სერიოზული ზიანი მიაყენა ქვეყნის ბიუჯეტს. საქართველო გასული საუკუნის კარჩაკეტილი ალბანეთი არ არის და ვერც იქნება, ვინაიდან პოლიტიკური დინების, გლობალიზაციის საწინააღმდეგო ცურვა შეუძლებელია.

იანვრის პირველ დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა უკვე გამოიწვია ჩვენი მოსახლეობის შიში, რასაც სხვა წამალი სჭირდება და არა კიდევ უფრო დაშინება და წაქეზება.



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

## ლიბიას იარაღს აღარ მიაწვდიან

ბერლინში ლიბიის საკითხთან დაკავშირებით გამართული საერთაშორისო კონფერენცია დასრულდა. სამიტის მონაწილე მხარეები აცხადებენ, რომ ლიბიის კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების მიმართულებით ბერლინის სამიტზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა.

გერმანიის კანცლერის განცხადებით, ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რაც სამიტის მონაწილეებმა მიიღეს, ლიბიისთვის იარაღის მიწოდების აკრძალვაა. ასევე შეიქმნება კომისია, რომლის შემადგენლობაშიც ლიბიაში კონფლიქტში მონაწილე მხარეების წარმომადგენლები შევლენ. მათი პირველი შეხვედრა უახლოეს მომავალში გაეროს მონაწილეობით ჟენევაში გაიმართება. გარდა ამისა, სამიტის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ლიბიაში საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფი ჩავა, რომელიც ქვეყანაში ცეცხლის შეწყვეტის პროცესს დააკვირდება.



**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲡ გვყავს მეზობლები, რომელთა არსებობის შესახებ არაფერი ვიცით. მილიონიან ქალაქში მხოლოდ რამდენიმე ათეულმა ადამიანმა თუ იცის, რომ შეიძლება ის მელიების, ტურების ან, მაგალითად, ენოტების გვერდით სულ რაღაც 100 მეტრში ცხოვრობდეს.**

**ყავისფერი არწივი მოწყვეტით ეშვება და სადაცაა, კლანჭები უნდა ჩაავლოს პატარა ჩიტს, რომ უეცრად ცას მეორე არწივი ჭრის. მტაცებლები ერთდროულად აფრინდებიან მსხვერპლს და ნისლიან ცაზე ნადავლისთვის დაუნდობელი დაპირისპირება იწყება.**

**ეს დრამატული სცენა დოკუმენტური ფილმიდან „სხვა მეზობლები“ არა ველურ ბუნებაში, არამედ ქალაქის თავზე ხდება. მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომლის გადაღებასაც თითქმის წელიწადი დასჭირდა, აღწერს თბილისში ადამიანისა და ცხოველების თანაარსებობის უცნობ მხარეებს.**



# „სხვა მეზობლები“ - თბილისის უჩინარი ბინადრები

## ᲙᲕᲔᲠᲜᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ

**„ათ წელზე მეტია, ისანში ვცხოვრობ. ვიცი, რომ თბილისში კუ და ზღარბი ბინადრობს, მაგრამ სიმართლე გითხრათ, მე არც ერთი არ შემხვედრია“,** — გვეუბნება თბილისელი სალომე გიუნაშვილი, რომელსაც ქუჩაში მხოლოდ ძაღლები და კატები თუ უნახავს.

**„ყოველდღიურად ჭავჭავაძისა და რუსთაველს შორის ვმოძრაობ. კარგ ამინდში ფეხით ჩამოვდივარ ხოლმე, მაგრამ არ მახსენდება ქუჩაში რაიმე უჩვეულო ცხოველისთვის მომეკრას თვალი“,** — უზიარებს რადიო „თავისუფლებას“ თავის გამოცდილებას გურამ ცერცვაძე და ახსენდება, რომ ქალაქში, დიღმის ტყეპარკთან, ერთხელ გველი ჰყავს ნანახი.

მიუხედავად იმისა, რომ ოთხფეხა მეზობლები ადამიანებს მაქსიმალურად ერიდებიან, მაინც არსებობს შანსი, რომ ერთ დღეს მათ თბილისის ცენტრში, ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ უბანში გადააწყდეთ.

**„ერთ საღამოს ყიფშიძის ქუჩაზე მანქანა გავაჩერე — მაღაზიაში გადავდიოდი. ფეხი გადმოვდგი თუ არა, ჩემგან ორ მეტრში კვერნა დავინახე. თავიდან კატა მეგონა, იმდენად წარმოუდგენლად მეჩვენებოდა, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ კვერნა იყო. თუმცა სანამ გადავიღებდი, კიდეც გაიქცა“,** — იხსენებს დოკუმენტური ფილმ „სხვა მეზობლების“ რეჟისორი ნიკა წიკლაური.

დიდი ხანია, კვერნები დასეირნობენ ვაკეშიც, ვერაზეც, კოსტავაზეც და ოპერის წინაც კი, თუმცა ზოოპარკის დირექტორი ზურაბ გურიელიძე ამბობს, რომ თბილისელებმა ისინი მხოლოდ 2015 წლის 13 ივნისის ტრაგედიის შემდეგ „დაინახეს“. მაშინ მოხალისეებს ქალაქის ძველი ბინადრები გალიებიდან გაქცეულები ეგონათ და შემთხვევით „ნაპოვნი“ კვერნების ათობით ფოტოებს ზოოპარკს უგზავნიდნენ.





## ᲥᲐᲚᲐᲥᲗᲐᲜ ᲨᲔᲒᲣᲔᲑᲐ – ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲔᲑᲘ ᲛᲢᲙᲕᲐᲠᲖᲔ

ᲣᲠᲑᲐᲜᲣᲚ სივრცეებში შემორჩენილი ველური სამყარო ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებ შესწავლილი სფეროა. ზოოლოგი ზურაბ ჯავახიშვილი ამბობს, რომ მეცნიერების ყურადღება დაცული ტერიტორიებისკენაა მიმართული, თბილისი კი დიდად არავის აინტერესებს — „კვლევის ჩატარება მთებში უფრო სასიამოვნოა, ვიდრე ქალაქში“, — ამბობს ის და განმარტავს, რომ კვლევას ინტერესთან ერთად ფულიც სჭირდება.

ურბანულ ბიომრავალფეროვნებაზე დაკვირვება ცხოველთა განსხვავებული ქცევის გამოც საინტერესოა. მაგალითად, ღამით ველურ ბუნებაში აქტიური მტაცებლის ნახვა რთული საქმეა, ქალაქში კი ჩვეულებრივი მოვლენაა.





**„მტკვარზე, გორგასლის ძეგლთან, ამ ხმაურიან და განათებულ ადგილას, ყანჩების კოლონია ცხოვრობს. ამის წარმოდგენა კვლევამდე არც კი შემეძლო. დაუჯერებლად მეჩვენებოდა, რომ ასეთ არაკომფორტულ ადგილს რომელიმე არსება შეეგუებოდა და მუდმივ საცხოვრებლად იქცევდა, თუმცა ზოგიერთი სახეობა ახერხებს ქალაქურ რიტმზე ფეხის აწყობას“,** — ამბობს ზურაბ ჯავახიშვილი.

ორგანიზაცია „საბუკოს“ კვლევის მიხედვით, 2019 წელს ორთაჭალაში, მტკვრის სანაპიროსთან მცხოვრებ კოლონიაში 700 ფრინველი დაითვალეს. ტურისტული ნავის დაქირავების შემთხვევაში, ფრინველებთან მიახლოებაც შეიძლება.

## ᲗᲣᲙᲘ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲕᲔᲠ ᲕᲮᲕᲓᲔᲑᲘᲗ?

ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ პედაგოგი სუზან შვარცი გვიყვება, რომ თუკი ველურ სამყაროში მცხოვრები მელიები არ გამოირჩევიან ოჯახური ცხოვრებით, ურბანულ სივრცეში სრულიად სხვა სურათია. ადამიანებთან ახლოს მობინადრე ცხოველებს ერთად ყოფნის და ერთმანეთზე ზრუნვის განსაკუთრებული უნარი აქვთ.

**„ველურ ბუნებაში მშობლებს უჭირთ თავიანთი ლეკვებისათვის საკვების მოპოვება, ამიტომ გარკვეული პერიოდის შემდეგ მათ მიტოვებას ამჯობინებენ. ქალაქში კი ამ პრობლემის წინაშე ნაკლებად დგებიან. შესაბამისად, დიდ ჯგუფებად ცხოვრობენ“,** — ამბობს სუზან შვარცი.

ველური ცხოველების აბსოლუტური უმრავლესობა ქალაქში ღამით გამოდის. დღის რეჟიმებს შორის განსხვავება ერთ-ერთი მთავარი მიზეზია, რის გამოც ადამიანი ვერ ხვდება თბილისელ ტურებს, მელიებს, კვერნებს, მაჩვებს, ენოტებსა და წავებს. გარდა ამისა, ამ არსებებმა კარგად იციან, როგორ დაიჭირონ თავი შორს ადამიანისგან.

ლისის განაშენიანებასთან ერთად, ამ ტერიტორიის ველური მობინადრე ცხოველები კიდევ უფრო ფრთხილები გახდნენ. მელა და კურდღელი ლისის ტბისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ძველი ბინადრები არიან, თუმცა ადამიანებთან აღარ გამოდიან.

## ᲬᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲔᲑᲖᲔ

2018 ᲬᲔᲚᲡ გლდანსა და დიღმის ჭალებს შორის მდებარე კუნძულზე მერიას საფეხმავლო ხიდის მშენებლობა ჰქონდა დაგეგმილი, არადა, კუნძულზე წავები ცხოვრობდნენ. წავი წითელი ნუსხის სახეობაა და მისი ჰაბიტატის განადგურება კანონით იკრძალება, ხიდის მშენებლობა კი მათ საცხოვრებელ გარემოს ემუქრებოდა.

წავების ოჯახის ადგილსამყოფლის პოვნა და გადარჩენა, ნიკა წიკლაურის თქმით, „სხვა მეზობლების“ ყველაზე დიდი მიღწევაა. წავის „სახლის“ შენარჩუნება ფილმის გადაღების პროცესში მოხერხდა. გლდანში ხიდის მშენებლობა შეჩერებულია.

სახეობათა კონსერვაცია „ნაკრესის“ გამგეობის წევრი კახა არცივაძე ამბობს, რომ გლდანში მდებარე კუნძულ „ზურმუხტის ქსელის“ წანილი უნდა გახდეს. „ზურმუხტის ქსელი“ ევროპაში იშვიათი სახეობებისა და მათი ჰაბიტატის დაცვას ისახავს მიზნად. თბილისის ტერიტორიაზე ასეთივე მნიშვნელობის ადგილია მეტეხის კლდე და დარეჯანის სასახლის ქვედა პერიმეტრი, რომელსაც უნიკალური საფარი აქვს. გლდანის კუნძულიცა და მეტეხის ტერიტორიაც საინტერესო ეკოსისტემით გამოირჩევა.

თუმცა წავები არა მხოლოდ გლდანში, არამედ თბილისის სხვა უბნებშიც ცხოვრობენ, ერთ-ერთი ოჯახი კი მდინარე ვერესა და მტკვრის შესართავთან, გმირთა მოედნის ტერიტიორიაზე ბინადრობს.

**„ფილმის გადაღებისას თითოეული ცხოველის პოვნა მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კი ისეთი იშვიათი სახეობისა, როგორიც წავია. თუმცა ერთ დღეს ვერეს ხეობაში წავი მოკლული დაგვხვდა. ტანზე სათევზაო კაუჭები და ბადეები ჰქონდა შემოხვეული. ჩვენ რომ არ გვენახა, არც არავინ მიაქცევდა, ალბათ, ყურადღებას“,** — ჰყვება ზურა ჯავახიშვილი.

## ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ?

ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ყველაზე უკეთ შესწავლილი ადგილი თბილისში ლისის ტბა და მისი მიმდებარე ტერიტორიაა. მკვლევართა დაკვირვებით, ამ პერიმეტრის მოწყობასთან ერთად, თითქმის განახევრდა აქ არსებული ბიომრავალფეროვნება. პრობლემები შეიქმნა სანიაღვრე სისტემასთან დაკავშირებითაც. როგორც ზოოპარკის საგანმანათლებლო ცენტრის ხელმძღვანელი ირმა ბოჭორიშვილი ამბობს, სანიაღვრეები არც ლისზე და არც წყნეთში არ არის სტანდარტების მიხედვით გაკეთებული, რაც დიდ საფრთხეში აგდებს აქ ბინადარ ცხოველებს, განსაკუთრებით კი კუებს.

**„სანიაღვრეები ღრმაა და ღია. შიგნით ჩავარდნის შემთხვევაში, კუს გადარჩენის შანსი ძალიან დაბალია“.**

ფრინველებისთვის კი დიდ პრობლემას შუშის შენობები ქმნის. სუზან შვარცის თქმით, სტატისტიკა საგანგაშოა: ევროპაში მოდერნული შენობები მილიონობით ფრინველს იწირავს — ისინი ვერ ახერხებენ შუშის აღქმას და მას მთელი ძალით ეჯახებიან.

საფუძვლიანი კვლევის გარეშე რთულია, ზუსტად განისაზღვროს ის ზიანი, რომელსაც ცხოველთა სამყაროს ვაყენებთ. ურბანული განაშენიანება, მწვანე სივრცეების რიცხვის კლება დრამატული ცვლილებებია ქალაქში შემორჩენილი ცხოველებისთვის.

**„ძალიან მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, თუ ვინ ცხოვრობს ჩვენს გვერდით და მაქსიმალურად ვეცადოთ, მათაც შევუნარჩუნოთ თუნდაც პატარა საარსებო მინიმუმი... სამწუხაროდ, ისე მიდის თბილისის განვითარება, რომ ზოგჯერ ვფიქრობ, ადამიანისთვისაც კი აღარ რჩება სივრცე, არათუ სხვა ცხოველებისთვის“,** — ამბობს ნიკა წიკლაური.

და მაინც, როგორ შევხვდეთ ველურ ცხოველებს?

რადგან ქალაქში მცხოვრები ცხოველების უმეტესობა ღამით ნადირობს, მათი ნახვის შანსი უფრო მაღალი სწორედ დღე-ღამის ამ მონაკვეთშია. სასაფლაოები, პარკები, ნაგავსაყრელები — ეს იმ ადგილების მცირე სიაა, სადაც თბილისის იდუმალ მცხოვრებლებს შეიძლება შეხვდეთ. მიუხედავად ამისა, ამ არსებებთან ურთიერთობისას გარანტიები არ არსებობს. თუმცა შესაძლებელია, ერთ დღესაც ბედმა გაგიღიმოთ და თბილისის საცობში მაჩვ-ზღარბთან ერთად აღმოჩნდეთ ან, სულაც, თქვენს ეზოში ენოტი დასახლდეს...

**ᲗᲐᲗᲘᲐ ᲓᲕᲐᲚᲘ**

# ძლიერი სეტყვა ავსტრალიაში

**ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ დედაქალაქში ძლიერი სეტყვის შედეგად მანქანები და სახლები დაზიანდა. სეტყვამ დაფარა ავსტრალიის პარლამენტის ეზოც. ავტომობილების ნაწილს შუშები ჩაემსხვრა.**



ავსტრალიაში რამდენიმეთვიანი ხანძრების შემდეგ, შტორმს ებრძვიან. სტიქია ახალი სამხრეთ უელსისა და ვიქტორიას შტატს დაატყდა თავს. მეტეოროლოგიური სამსახურის ინფორმაციით, ავსტრალიის სხვადასხვა ნაწილში კვლავ ძლიერი ქარი, სეტყვა, წვიმა და ჭექაქუხილია მოსალოდნელი.

◎ ლეგიონერი

# დუდას თასი




**საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი დუდა სანაძე პორტუგალიის თასის მფლობელია. „ოლივეირენშემ“, რომელმაც ნახევარფინალში „სპორტინგს“ 93:88 სძლია, ფინალურ მატჩში „ბენფიკას“ 83:81 აჯობა.**

სანაძე ორივე შეხვედრაში გამოირჩეოდა. ნახევარფინალში ქართველი კალათბურთელი სასტარტო შემადგენლობაში იყო და 35 წუთში 14 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი და 3 ჩაჭრა მოაგროვა. დუდამ 10-დან 4 ორქულიანი, 6-დან 1 სამქულიანი და 5-დან 3 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი 2-ჯერ დაკარგა, 4-ჯერ დაუფარეს, ამდენივე პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 3-ჯერ დაჯარიმდნენ.

„ჯვაროსანი“ ფინალური მატჩის ბომბარდირიც გახდა 17 ქულით. დუდამ 22 წუთში 6-დან 4 ორქულიანი და 6-დან 3 სამქულიანი ჩააგდო, აქტივში 1 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრაც ჰქონდა, პასივში კი — 2 დაკარგვა და 4 პერსონალური ჯარიმა.

შეგახსენებთ, რომ „ოლივეირენშე“ პორტუგალიის ბოლო 2 წლის ჩემპიონია და მიმდინარე გათამაშებაში მე-4 ადგილზეა. სანაძის გუნდს სწორედ ის გუნდები უსწრებენ, რომლებიც თასის გათამაშებაში მონაწილეობდნენ — „პორტუ“, „ბენფიკა“ და „სპორტინგი“.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ რაგბი

# გაკვეთილი დიდი 10-სთვის

**საქართველო XV-მა არგენტინულ „ხაგუარესთან“ მარ დელ პლატაში გამართული სერიის პირველი მატჩი დიდი სხვაობით — 3:66 დათმო.**

საქართველოს ჩემპიონატის დიდი 10-ის მოთამაშეებით დაკომპლექტებულმა გუნდმა, როგორც მოსალოდნელი იყო, სუპერრაგბის ფინალისტს ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

წინ სერიის მეორე მატჩია, რომელიც ბუენოს აირესში 24 იანვარს თბილისის დროით 23:45 საათზე დაიწყება. ჩვენი გუნდის მთავარი მწვრთნელი ბესიკ ხამაშურიძე იმედოვნებს, რომ საქართველო XV განმეორებით შეხვედრას უკეთ ჩაატარებს:

**„ამ დონის გუნდს ისტორიაში პირველად ვეთამაშეთ. „იაგუარები“, ფაქტობრივად, არგენტინის ნაკრებია, რომლის მორაგბეებსაც მსოფლიო თასისთვის მოსამზადებელი პერიოდი აქვთ გავლილი და შესანიშნავ კონდიციებში არიან. ვფიქრობ, შეგვეძლო უკეთ გვეთამაშა, მაგრამ წნეხს ვერ გავუძელით და თავდაჯერება გვაკლდა. ჩვენი მიზანი იყო, გვენახა, სად ვართ ამ დონის გუნდთან, მაგრამ ბურთზე კონტროლი ვერ დავამყარეთ, შეტევაში არაფერი გამოგვივიდა და მეტოქემაც შეცდომები არ გვაპატია. ვეცდებით, მეორე შეხვედრა უკეთ ჩავატაროთ და თუ ეს შევძელით, დავრწმუნდებით, რომ ამ დონის მეტოქეებთან ხშირი თამაშით წინსვლა შეგვიძლია“.**

„ხაგუარესთან“ მატჩში ჩვენი სამი მორაგბე სინბინით დაისაჯა და 30 წუთი მოედანზე კაცნაკლულები ვიყავით, რაც მეტოქემ ლელოებში ასახა. ხამაშურიძის თქმით, დისციპლინის პრობლემები მეტოქის სიძლიერემ განაპირობა:



**„არგენტინელები ისეთ ტემპში თამაშობდნენ, რასაც შეჩვეული არ ვართ და ხშირად ვრჩებოდით თამაშგარეში. უკვე ბუენოს აირესში ვართ, გავარჩევთ განვლილ შეხვედრას და ვეცდებით პრობლემები გამოვასწოროთ. პირველ შეხვედრაში წელის ტრავმა მიიღო ირაკლი სვანიძემ და მეორე ბრძოლაში ის ვერ დაგვეხმარება, დანარჩენი მორაგბეები კი მწყობრში არიან“.**

**კობა კობახიძე**

◎ ხელბურთი

# ფინური ზღაპარი




**საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის მთავარ შესარჩევ რაუნდში გასასვლელ გადამწყვეტ შეხვედრაში სტუმრად ფინეთთან დამარცხდა — 21:37 (12:14). პირველი თამაში თბილისში 16 იანვარს ფრედ დასრულდა — 24:24.**

საპასუხო მატჩს ორივე გუნდი დანაკლისით შეხვდა. საქართველოს ნაკრებს არ ჰყავდა არსენაშვილი და მაისურაძე, რის შემდეგაც დაგვრჩა ერთადერთი ხაზის მოთამაშე მიქავა. ფინელებს ძირითადი მეკარე იაკელა გამოაკლდათ, რომლის ადგილიც როსლანდერმა დაიკავა და მშვენივრადაც ითამაშა, ჩვენი დანაკარგი კი უფრო მნიშვნელოვანი გამოდგა.

ღირსეულად ჩატარებული პირველი ტაიმის შემდეგ მსაჯებმა მიყოლებით გაგვიძევეს კბილაშვილი, ჩიქოვანი და ორჯონიკიძე. მეტოქემ მაქსიმალურად გამოიყენა მეტობა და ჩვენი გუნდის თამაშიც აქ მოიშალა — ზედიზედ გავუშვით 10 გოლი და 14 წუთის განმავლობაში ვერ გავიტანეთ: 14:25 46-ე წუთზე და თამაში უკვე მეორე შემადგენლობამ დაასრულა — 21:37.

ტურნირმა აჩვენა, რომ ჩვენი ეროვნული ნაკრები ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდულია უმაღლეს დონეზე სათამაშოდ — სამი ვეტერანით (თევზაძე — 38 წლის; ჭანტურია — 37; ჩიქოვანი — 30) გუნდის საშუალო ასაკი სულ 24 წელია (მათ გარეშე — 22), ხოლო ჩვენი ორი ხელბურთელი საერთოდ თინეიჯერია — გიორგი ცხოვრებაძეს (18) კიდევ ორი წელი ახალგაზრდულ ნაკრებშიც შეუძლია თამაში, ხოლო ნიკოლოზ კალანდაძე (17) ჯერაც ჭაბუკთა ნაკრების წევრია. ფინეთს ძალიან გამოცდილი გუნდი ჰყავდა, რომლის სამი მოთამაშე ჩემპიონთა ლიგის მონაწილე „რიიჰიმიაენ კოქსის“ წევრია — სწორედ ამ ტრიომ (ტამინენი, რონბერგი, სიურიალა) გადაწყვიტა მატჩის ბედი თბილისშიც და რიიჰიმიაკიშიც.

ფინეთის გარდა, ადგილი ევრო 2022-ის მთავარ შესარჩევ რაუნდში დაიცვეს ესტონეთმა და ბელგიამ, რომლებმაც 2-2 მატჩი მოუგეს პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის გამარჯვებულ ლუქსემბურგსა და კვიპროსს. ერთი წლის შემდეგ ჩვენი ეროვნული გუნდი ევროპის მომდევნო, 2024 წლის ჩემპიონატის შესარჩევს ისევ პირველი რაუნდიდან დაიწყებს.

**მანუჩარ გიორგაძე**

◎ ჩოგბურთი

# ჩვეული სტარტი

**გუშინ გამთენიისას ავსტრალიის ღია პირველობის ძირითადი ბადის შეხვედრები დაიწყო და დიდი სლემის 20-გზის ჩემპიონმა, შვეიცარიელმა როჯერ ფედერერმა პირველი გამარჯვება იზეიმა.**

მან რეიტინგის 75-ე ნომერი, ამერიკელი სტივ ჯონსონი საათსა და 24 წუთში 6:3, 6:2, 6:2 დაამარცხა. როჯერმა 11 ეისი ჩააწოდა და 9-დან 5 ბრეიკი შეასრულა, ჯონსონს კი ბრეიკის ერთი შესაძლებლობა ჰქონდა და ისიც ვერ გამოიყენა.

მომდევნო ეტაპზე ფავორიტი კრაინოვიჩი-ჰალისის გამარჯვებულს შეხვდება.

**ბეჟან დოლიძე**



◎ დებიუტი



# კიკე სეტიენმა მოგებით დაიწყო

**კიკე სეტიენის ბარსელონ ური დებიუტიც შედგა. მოგეხსენებათ, „ბეტისის“ ყოფილმა დამრიგებელმა რამდენიმე დღის წინათ ერნესტო ვალვერდე შეცვალა კატალონიური კლუბის მთავარი მწვრთნელის პოსტზე.**

ვალვერდეს წასვლას ხმაური მოჰყვა. მის სავარაუდო შემცვლელად ამჟამად ყატარში მომუშავე ჩავის მოიაზრებდნენ. შეხვდნენ კიდეც მას, მაგრამ ჩავიმ უარი თქვა, შუა სეზონში გუნდს არ ჩავიბარებ, ზაფხულში კი მზად ვარო.ჩავის გუნდის ნულიდან აწყობა და თავისი საფეხბურთო ფილოსოფიის დამკვიდრება სურდა.

„ბარსას“ ხელმძღვანელობამ კი მკითხაობა აღარ დაიწყო და ახალ დამრიგებლად კიკე სეტიენი დანიშნა.

რა შეიძლება ითქვას, ერთი თამაშით რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ? „ბარსელონას“ ცუდად არ უთამაშია, თუმცა, ჟინი აშკარად აკლდა. ჩანს, სეტიენი ტიკი-ტაკას მომხრეა, ყოველ შემთხვევაში, ვალვერდეს დროს გუნდი ცოტა სხვაგვარად თამაშობდა, ამჯერად კი დაბალი ტემპი და უამრავი მოკლე პასი, ბურთის ფლობა — 73 პროცენტი.

გამარჯვების გოლი ლეო მესიმ გაიტანა, რომელიც არტურ-ვიდალის ლამაზ კომბინაციას მოჰყვა. ჩილელმა მეტოქის საჯარიმოში ქუსლით მისცა პასი არგენტინელს და ამ უკანასკნელს გატანა არ გასჭირვებია.

სტუმართა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ფარ-ხმალი არ დაუყრიათ, ერთხელ ძელსაც მოარტყეს ბურთი, მერე კი რიცხობრივ უმცირესობაში დარჩნენ და კონტრშეტევებზე აღარ უფიქრიათ.

„ბარსელონა“ ისევ გალიდერდა, თუმცა, კატალონიელებს და „რეალს“ თანაბარი — 43-43 ქულა აქვთ.

**გიორგი შოთაძე**

# ვინაა „ლავასოღლის“ კონკურენტი აჭარაში?!

## ახალი დაპირისპირების მოლოდინი კლანების გაერთიანების ფონზე

**ქართული წარმოშობის კრიმინალური ავტორიტეტი მინდია გორაძე, მეტსახელად „ლავასოღლი“, რომელსაც საქართველოში 12-წლიანი პატიმრობა აქვს მისჯილი, თურქული ციხის დასატოვებლად ემზადება. როგორც თურქული მედია წერს, „თუ საქართველო გორაძის მიღებას კვლავ არ დასთანხმდება, თურქეთი იძულებული იქნება, 2020 წლის თებერვალში ის გაათავისუფლოს, ვინაიდან პატიმრობის 15-თვიანი ვადა ეწურება“.**

39 წლის გორაძის წინააღმდეგ ოპერაცია 2018 წლის 25 ოქტომბერს ტრაპზონის პროვინციაში თურქეთის დაზვერვისა და ორგანიზებული კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების ჩართულობით ჩატარდა და მედიის ცნობით, ანკარა დიპლომატიური კავშირების საშუალებით ცდილობს მის ექსტრადირებას, თუმცა ქართული მხარე პატიმრის მიღებაზე უარს აცხადებს.

თავად გორაძის ადვოკატი საქართველოში ალექსანდრე კობაიძე და იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ირწმუნებიან, რომ „ლავასოღლი“ თურქეთში სწორედ ქართული მხარის მოთხოვნით დააკავეს, რომელსაც ქუთაისის საქალაქო სასამართლომ „კანონიერი ქურდობისთვის“, ჯგუფურად გამოძალვის ორგანიზებისა და ძალადობის მუქარით ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლისთვის 12-წლიანი პატიმრობა განუსაზღვრა.

**საინტერესოა, რომ „ლავასოღლი“ საქართველოში 2016 წელს დააკავეს, თუმცა მოგვიანებით წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლდა. როგორც მისი ადვოკატი აცხადებდა, გორაძის პატიმრობის კონსტიტუციური ვადა ამოიწურა და გათავისუფლების საფუძველი სწორედ ეს გახდა, თუმცა წაყენებული ბრალდება მას არ მოხსნია. გორაძემ საქართველო დატოვა და მოგვიანებით მის წინააღმდეგ გამამტყუნებელი განაჩენიც დადგა. რატომ არ ეყო პატიმრობის 9-თვიანი კონსტიტუციური ვადა ბრალდებას ბრალის დასამტკიცებლად, უცნობია.**

წულუკიანი ისევე, როგორც პროკურატურა ამბობდა გასული წლის ნოემბერში, ახლაც ამბობს, რომ მიმდინარეობს საექსტრადიციო პროცედურები და ბრალდება, თითქოს ქართულ მხარეს არ სურს ექსტრადიციის წარმატებით დასრულება, უბრალოდ, ტყუილია. ამ შემთხვევაში ჩნდება კითხვა, **თუ მსგავსი მზაობა ორივე ქვეყანას აქვს, პროცედურის დროულად დასრულებას რა უშლის ხელს?**

„ლავასოღლის“ ქართველი ადვოკატი ირწმუნება, რომ მიზეზი თურქეთისთვის ქართული მხარის მიერ წარდგენილი არასაკმარისი არგუმენტაციაა. ამ შემთხვევაშიც ჩნდება კითხვა — გამამტყუნებელი განაჩენის არსებობის პირობებში რატომაა რთული ადეკვატური არგუმენტაციის მომზადება, თუ სხვა პროცესთან გვაქვს საქმე?

ოპოზიციაში აქვთ ეჭვი, რომ „ლავასოღლი“ საქართველოს ხელისუფლებას სწორედ პენიტენციური დაწესებულების გარეთ სჭირდება საარჩევნო პერიოდის გათვალისწინებით. ბუნებრივია, თავად მმართველ გუნდში მსგავს ეჭვებს უსაფუძვლოდ მიიჩნევენ, ირწმუნებიან, რომ არჩევნების მოსაგებად საარჩევნო ხმების მობილიზების პროცესში კრიმინალური ავტორიტეტების ჩართულობა არ სჭირდებათ, თუმცა **„აქცენტი“** მაინც დაინტერესდა საქართველოში გორაძის გავლენებით და ამ საკითხზე „სამართალდამცველთა დაცვის ლიგის“ წევრ **ირაკლი ქადაგიძეს** ესაუბრა, რომელიც შსს-ში მუშაობის დროს ორგანიზებულ დანაშაულს ებრძოდა და კრიმინალური სამყაროს თემა ამჟამადაც წარმოადგენს მისი დაკვირვების სფეროს.



გასულ წლებში აქტიურად იყო საუბრები გორაძის გავლენებზე აჭარაში. მართალია, მოქალაქეები კომენტარების საჯაროდ გაკეთებას თავს არიდებდნენ, თუმცა არაოფიციალურად რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში საუბრობენ იმაზე, რომ ე.წ. „კანონიერი ქურდი“ აქტიურად იყო ჩაბმული აჭარაში მიმდინარე პროცესებში. ქადაგიძე ამბობს, რომ **სადღეისოდ ეს გავლენები შესუსტებულია, რაც გორაძის პატიმრობაში ყოფნამ განაპირობაო:**

**„სადღეისოდ შესუსტებულია მისი გავლენები სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ თურქულ ციხეში იმყოფება, ქართული მხარე კი თურქეთს საექსტრადიციო მასალებს არ აძლევს. გორაძის და აქტიურად ცდილობდა, ქართულ მხარეს დროულად გადაეგზავნა საექსტრადიციო მასალები, მაგრამ, როგორც ჩანს, ვიღაცამ მას „დროულად“ აუხსნა: „ნუ ყვირი! თუ საქართველო — დაკავების ინიციატორი მხარე არ გადააგზავნის საექსტრადიციო მასალებს, თურქეთი ვალდებული იქნება, გაათავისუფლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ ის უკანონო პატიმარია“.**

ქადაგიძე რამდენიმე ოპერატიულ ინფორმაციას გვანდობს და ამბობს, რომ ეს ცნობები ყურადღების გამახვილებას იმსახურებს:

**„გორაძეს წარსულში დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა თურქეთში მყოფ ასლან ქობულაძესთან, რომელიც წარმოშობით აჭარელია და ასევე „კანონიერი ქურდი“ გახლავთ. ისინი შერიგდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ, ასე ვთქვათ, ორი კლანი ერთიანდება. თუმცა სადღეისოდ აჭარაში ახალი კლანი ჩნდება ვინმე „ენცოს“, იგივე ტუღუშის ხელმძღვანელობით (ისიც თურქეთში იმყოფება), რომელიც აგრესიულობით გამოირჩევა და ქობულაძისა და გორაძის გავლენის სფეროების ათვისებას ცდილობს“.**

როგორც ჩანს, საქართველოში „კონკურენტით“ უკმაყოფილოები არიან.

**„ქართულ მხარეს სურს, გორაძე არ იმყოფებოდეს საქართველოში და ხოფადან აკონტროლოს ვითარება, როგორც ამას წარსულში აკეთებდა. თუმცა, მისი გარემოცვიდან კულუარულად ვრცელდება ინფორმაცია, „ხელს არ გავანძრევთ! რასაც შეგვპირდნენ, არ გააკეთესო“. ვინ რას შეჰპირდა, არ ვიცი, თავს რამდენად დაიჭერენ, ესეც სხვა საკითხია, თუმცა სადღეისოდ ასეთი განწყობაა“,** — ამბობს ქადაგიძე, თუმცა ელის, რომ გორაძე ისევ „საკუთარი ინტერესებისთვის“ ჩაერთვება პროცესებში.

**„ზოგადად ასე ხდება — თუ ერთი წაბორძიკდა, მეორე წამოყოფს თავს, ამყარებს კონტროლს, შემდეგ კი იწყება ომი. ესენი არიან ადამიანები, რომელთაც არასდროს არაფერი შეუქმნიათ, სხვის „კისერზე“ იყვნენ და სხვას ინაწილებდნენ. არც ისაა ხელწამოსაკრავი ინფორმაცია, რომ ქობულაძისა და გორაძის კლანები ერთიანდებიან. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ გორაძე არავისთვის არაფრის დამთმობი არაა და შესაძლოა, აჭარაში (მოიცავს გურიის ნაწილსაც) ახალ დაპირისპირებას ველოდოთ: დაიწყება გავლენის სფეროების დაბრუნებისთვის ბრძოლა. გავლენის სფერო კი აერთიანებს ყველა მიმართულებას: სათამაშო ბიზნესს, სამშენებლოს და ა.შ. პოლიტიკაც შემადგენელი ნაწილია იმდენად, რამდენადაც, როდესაც შენ რაღაცაზე „თვალს ხუჭავ“, ამის საფასური ისაა, რომ შემდეგ მან შენთვის სასარგებლო რამ გააკეთოს, მათ შორის არჩევნებზე, როგორც ეს წარსულში არაერთგზის ვიხილეთ“,** — ყვება ქადაგიძე.

## სანთელი

**საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი უსამძიმრებს ვეტერანთა კავშირის წევრს, ბატონ თამაზ ლომაძეს ძმის**

**ვიტალი ლომაძის**

**გარდაცვალებას.**

**ნანული (ნანა) გუნია დიდი გულისტკივილით თანაუგრძნობს შესანიშნავ ქალბატონს, კომპოზიტორ ლეილა ლოლუას ძმის**

**გივი (გული) ლოლუას**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.**

# „ჯორდანა“ ცემით მოკლეს?

## ვინ არის ვახო ჯოხაძე, რომელიც იტალიის სადეპორტო განყოფილებაში საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა

**„ბიჭი ცემით მოკლეს“, — უთხრეს „2020NEWS“-ს იტალიაში, სადეპორტო განყოფილებაში გარდაცვლილი 37 წლის ქართველის ვახო ჯოხაძის ახლობლებმა და მეგობრებმა.**

ვახო ჯოხაძე, რომელიც უკვე 8 წელია, საზღვარგარეთ იმყოფება, ჭიათურიდანაა. იგი ფეხბურთელი იყო. წლების განმავლობაში „ჭიათურის მაღაროელში“ თამაშობდა.

როგორც „2020NEWS“-მა გაარკვია, ის არასოდეს ნასამართლევი არ ყოფილა და არც კრიმინალთან ჰქონია რაიმე შეხება.

„ჯორდანა“, ის ჩვენი „ჯორდანაა“, ასე ვეძახდით მეგობრები. ძალიან წესიერი და კარგი ბიჭი იყო. 10 წელი „ჭიათურის მაღაროელში“ თამაშობდა. რა მოხდა, არ ვიცით, მაგრამ რა ინფორმაციებსაც გვაწვდიან, ბიჭი ცემით მოკლეს კარაბინელებმა. საქართველოში გამიშვითო, ითხოვდა. 8 წელია, საზღვარგარეთაა, თავის საქმე ჰქონდა. რა უნდა დაეშავებინა, უწესიერესი ბიჭი იყო?!“ — განუცხადეს „2020NEWS“-ს „ჯორდანას“, იგივე ვახო ჯოხაძის თანაკლასელებმა.

გარდაცვლილი ახალგაზრდა მამაკაცის საქმის გამოძიებას და ქართული მხარის მიერ დაუყოვნებლივ რეაგირებას ითხოვენ მისი ოჯახის წევრები და მეგობრები. მათ მიაჩნიათ, რომ ოფიციალურად გავრცელებული ვერსია მისი გარდაცვალების შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება.

ვახო ჯოხაძის იტალიელი სამართალდამცავების მიერ მკვლელობაზე საუბრობენ ქართველი ემიგრანტებიც.

**„ძალიან გთხოვთ, გაავრცელეთ ეს ამბავი. სიტყვები არ მყოფნის. ეს რამხელა ტრაგედია დატრიალდა. არ ვიცი, საიდან დავიწყო და რა გითხრათ. გთხოვთ, გაავრცელეთ ეს ამბავი, რომ მოგვაქციონ ყურადღება! ჩვენც ადამიანები ვართ...“** „შოთო სიხარულიძე, ქარველი ემიგრანტები“ — ასეთ ინფორმაციას ავრცელებენ სოციალურ ქსელში „ემიგრანტების“ მიერ შექმნილ სპეციალურ ჯგუფში.



ზალკალიანის უწყებაში „2020NEWS“-ს განუცხადეს, რომ მომხდარის შესახებ იტალიაში საქართველოს საკონსულო ინფორმირებულია.

**„საკონსულო მომხდარის შესახებ საქმის კურსშია. მიღებულია ოფიციალური შეტყობინება, რომ წინასწარი მონაცემებით, მოქალაქე გულის შეტევით გარდაიცვალა და მომავალ კვირაში ჩატარდება ექსპერტიზა. მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება“,** — აცხადებენ უწყებაში.

# ბოლო ერთ კვირაში გრიპის ვირუსის გამო ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები გაიზარდა!

**ბოლო ერთი კვირის განმავლობაში 100 000 მოსახლეზე გრიპის 216 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა (წინა კვირის მონაცემები 219 იყო), თუმცა ჰოსპიტალიზაცია 5%-ით გაიზარდა. ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა.**

გამყრელიძის თქმით, ჰოსპიტალიზაცია მძიმე რესპირატორული ინფექციებით, ბავშვთა კონტინგენტის ხარჯზეა. ამირან გამყრელიძემ განაცხადა, რომ სახელმწიფოს მიერ 97 000 მაღალი რისკის ჯგუფის ადამიანს ჩაუტარდა ვაქცინა, ასევე წელს კერძო სექტორმაც გააორმაგა ვაქცინები, ნებაყოფლობით 30 ათასი ადამიანია აცრილი.

ამირან გამყრელიძის თქმით, ქვეყანაში ტამიფლუს მარაგი საკმარისია.

# მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი

**„ფორბსის“ მონაცემებით, მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი ფრანგული კომპანია LVMH-ს მფლობელი ბერნარ არნოა. გამოცემა „ფორბსის“ ცნობით, არნოების ოჯახი 2020 წლის 18 იანვრის მონაცემებით 116.5 მილიარდ აშშ დოლარს ფლობს. LVMH ისეთ ბრენდებსა და კომპანიებს აერთიანებს, როგორიცაა „კრისტიან დიორი“, „ლუი ვიტონი“, „ჟივანში“, „გერლენი“, „მოე & შანდონი“.**

„ფორბსის“ უმდიდრეს ადამიანთა რეიტინგში მეორე ადგილს კომპანია „ამაზონის“ დამფუძნებელი ჯეფ ბეზოსი იკავებს, რომელმაც წელს პირველი ადგილი ბერნარ არნოს დაუთმო. მისი ქონება 115.6 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს.

მესამე ადგილზეა კომპანია „მაიკროსოფტის“ დამფუძნებელი ბილ გეითსი, რომლის ქონებაც 110.6 მილიარდი აშშ დოლარია.



რეიტინგში მეხუთე ადგილზეა სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ დამფუძნებელი მარკ ცუკერბერგი. მისი ქონების ჯამური ღირებულება 82.2 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს მსოფლიოს 2 200 მილიარდერი ჰყავს.

რეიტინგში, ერთადერთი ქართველი – 447-ე ადგილზე, ბიძინა ივანიშვილია. მისი ქონება 4.9 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.

# მზის ელექტროსადგური 470 მილიონ დოლარად...

**კატარი ქვეყანაში პირველი მზის ელექტროსადგურის მშენებლობას იწყებს, რომელმაც 2022 წლისთვის მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის 10% უნდა აწარმოოს.**



შეთანხმება კატარის ელექტროენერგიისა და წყლის რესურსების სახელმწიფო კომპანიამ და იაპონურმა Marubeni-მ გააფორმეს. ელექტროსადგურის მშენებლობაზე 1,7 მილიარდი კატარული რიალი (470 მილიონი დოლარი) დაიხარჯება.

ენერგეტიკის მინისტრ საად ბენ შრიდა ალ-ქააბის განცხადებით, მზის ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვება 2021 წლის პირველ კვარტალში იგეგმება, მთელი სიმძლავრით კი ის 2022 წლის დასაწყისში ამუშავდება.

# სიცოცხლისთვის უმნიშვნელოვანესი ელემენტი შესაძლოა, კოსმოსში წარმოიშვა

**ევროპის სამხრეთ ობსერვატორიის მეცნიერებმა დედამიწაზე სიცოცხლისთვის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტის – ფოსფორის გაჩენის ფაქტი შეისწავლეს. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ფოსფორი დედამიწაზე კომეტაზე მდებარე ფოსფორის მონოქსიდის მოლეკულის სახით მოხვდა.**

სპეციალისტებმა ვარსკვლავების ფორმირების რეგიონი AFGL-5142 რადიოტელესკოპ ALMA-ს დახმარებით შეისწავლეს. რადიოემისიის სპექტრის ანალიზით შესაძლებელი გახდა დაედგინათ თუ რომელი მოლეკულები არიან რეგიონში. აღმოჩნდა, რომ ახალი ვარსკვლავების ირგვლივ სივრცეში ფოსფორის მონოქსიდის მოლეკულები არსებობენ. ისინი ვარსკვლავთშორის მტვრის ღრუბლებში ყალიბდებიან და მათზე გაზების ნაკადები ახდენენ გავლენას.



ფოსფორი დნმ-ისა და ცილის ფორმირებისთვის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია. ის ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს უჯრედის კედლების ფორმირებასა და უჯრედების მიერ ენერგიის შენახვის პროცესებში.



# BON JOVI-სა და ბრაიან ადამსის ერთობლივი ტურნე

**ჯგუფი Bon Jovi ახალ ალბომს უშვებს, ზაფხულში კი ჩრდილოეთ ამერიკაში ტურნეში მომღერალ ბრაიან ადამსსთან ერთად გაემგზავრება.**

უკვე ცნობილია ჯგუფის მეთხუთმეტე ალბომის და ტურნეს სახელწოდება „Bon Jovi 2020“. პირველ კონცერტს ჯგუფი 10 ივნისს გამართავს, ბოლოს კი 29 ივლისს, ნიუ-იორკში. სულ ტურნეს ფარგლებში 18 შოუ გაიმართება, ადამსი 16 მათგანში მიიღებს მონაწილეობას.

# მწვანე ჩაი - სიცოცხლის ელექსირი

**მწვანე ჩაი ადამიანს სიცოცხლეს უხანგრძლივებს.**

ჩინეთის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის სპეციალისტების კვლევა უკვე 22 წელია, გრძელდება. მასში 100 902 ადამიანი მონაწილეობდა, რომლებსაც გულისა და სისხლძარღვების დაავადებები არ აღენიშნებოდათ. მონაწილეები ორ ჯგუფად დაყვეს: პირველი ჯგუფის წევრები კვირაში სამჯერ ან უფრო ხშირად სვამდნენ მწვანე ჩაის, მათი „კოლეგები“ კი უფრო იშვიათად ან საერთოდ არ სვამდნენ.

კვლევამ დაადგინა, რომ ჩაის მოყვარულებს შორის გულის და სისხლძარღვების დაავადებების განვითარების რისკი საშუალოდ 20%-ით ნაკლებია, ინსულტის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 22%-ს შეადგენს, სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული ნაადრევი სიკვდილის რისკის შანსები კი 15%-ით დაბალია.



ამასთან, გაირკვა, რომ ექსპერიმენტის მონაწილეთა უმრავლესობა მწვანე ჩაის ანიჭებდა უპირატესობას, შავს კი მხოლოდ 8% სვამდა. მეცნიერებმა ეს დეტალიც შეისწავლეს და აღმოაჩინეს, რომ ჯანმრთელობაზე დადებითად მხოლოდ მწვანე ჩაი მოქმედებს.

## მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

## ყურადღება!

„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847
შპს „მაცნე“
599 982777
„პლანეტა ფორტე“
579 799908

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.8781; ევრო - 3.2002;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7556;
100 რუბლი - 4.6888; თურქული ლირა - 0.4900;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6950;
1000 სომხური დრამი - 5.9994.

**ამინდი 21 იანვრისთვის**

აღმოსავლეთი საქართველო:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | -8, | დღე | +8 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -13, | დღე | +6 |

დასავლეთი საქართველო:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | +1, | დღე | +10 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -5, | დღე | +5 |
| თბილისი: | ღამე | -1, | დღე | +6 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge